პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 18 აგვისტო, 1948 წ. № 164 (8208). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა სოციალისტურ შეჯიბრებას — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ქ. ციმაკურიძე — საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბრძოლო ამოცანები (მე-2 გვერდი).
კავშირგაბმულობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის (მე-3 გვერდი).
ა. ხელიძე — საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანების შემდეგ (მე-3 გვერდი).
დუნაის კონფერენციაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა სოციალისტურ შეჯიბრებას

ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებულად მუშაობენ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად, სოციალისტური შეჯიბრების დროშით ახალ წარმატებას აღწევენ მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში. შრომის ფრონტზე მოპოვებული ყველა გამარჯვება ცხადყოფს საბჭოთა ადამიანების ღრმა რწმენას თავისი სამართლიანი საქმისადმი, სიყვარულსა და ერთგულებას საბჭოთა სამშობლოსადმი. სოციალისტური შეჯიბრების ძალაც სწორედ ის არის, რომ იგი ზრდის მასების შემოქმედებით აქტივობას, ამაღლებს მათ სოციალისტურ შეგნებას და ხელს უწყობს ჩვენი საერთო საქმის წარმატებას.

პარტიულ ორგანიზაციებს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიული ხელმძღვანელობა შეჯიბრებისადმი მხოლოდ მაშინ არის შედეგიანი, როცა მას ვუდგებით არა ფორმალურად, ხელმძღვანელობას განვსაზღვრავთ არა მარტო ვალდებულებათა შედგენით, არამედ ყოველდღიურად, შეუნელებლად ვმუშაობთ მათთან, ვინც ხორცს ასხამს, ვინც ასრულებს გეგმებს. ამიტომ მასებთან მუშაობა მთავარია სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

შეჯიბრებისადმი ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური მოღვაწეობის პრაქტიკიდან. მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ ვხვდებით შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში ფორმალიზმს, იმის მაგალითებს, როცა პარტიული ორგანიზაციები კმაყოფილდებიან მხოლოდ ვალდებულებათა გაფორმებით, შეჯიბრების მონაწილეთა ციფრობრივი მონაცემების შედგენით, ხოლო ადამიანებთან არ მუშაობენ, ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ ნაკისრი ვალდებულებანი განუხრელად სრულდებოდეს და საქმე წინ მიდიოდეს. ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტში არ სრულდება ქვანახშირის ამოღებისა და სამთომოსამზადებელ სამუშაოთა გეგმები. ქვანახშირის ამოღების 7 თვის გეგმა 84 პროცენტით შესრულდა, ხოლო სამთომოსამზადებელი სამუშაოებისა—74,5 პროცენტით. ყველაზე დიდი ჩამორჩენა აქვთ პირველ, მეორე, მეხუთე და მეექვსე უბნებს. როგორც საშახტო, ისე საუბნო პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას; შეჯიბრება შახტში ფორმალურ ხასიათს ატარებს; არ სრულდება კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ზოგიერთი ვალდებულება; კომუნისტები, რომლებიც მოწოდებული არიან უხელმძღვანელონ მასებს, უჩვენონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის პირადი მაგალითები, ვერ ასრულებენ ავანგარდულ როლს. უკეთესი მდგომარეობა არც სტალინის სახელობის შახტშია. აღსანიშნავია ის, რომ აქ 56 მეშახტე არ მონაწილეობს შეჯიბრებაში, და რაც ყველაზე ცუდია, ფიზიკურად მომუშავე 62 კომუნისტიდან 24-მა ვერ შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. აღნიშნული შახტების ჩამორჩენა, ცხადია, გამოწვეულია იმითაც, რომ პარტიული ორგანიზაციები არასაკმაოდ მუშაობენ მეშახტეებთან, მზრუნველობით არ ეკიდებიან მათ შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებას, ყოველდღიურ, გულმოდგინე მუშაობას მშრომელებთან — მუშებთან და კოლმეურნე გლეხობასთან, მადნეოლებთან და მეშახტეებთან, რკინიგზის ტრანსპორტისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებთან, რომელთა შრომაზე დამოკიდებულია გეგმების შესრულება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობა.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში დიდი ამოცანა აკისრიათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რადგან ისინი ყველაზე ახლო დგანან წარმოებასთან, იქ მომუშავე ადამიანებთან.

საჭიროა ბოლომდე აღმოვფხვრათ ფორმალიზმი სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში, არ დავკმაყოფილდეთ მარტო ვალდებულებათა აღებას და შეჯიბრებაში ჩაბმულ ადამიანთა აღრიცხვას, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უფრო ფართოდ გაჩაღებით მივაღწიოთ იმას, რომ ნაკისრ ვალდებულებას უკლებლივ ყველა ასრულებდეს, ჩამორჩენილები მოწინავეთა დონემდე ავიდნენ.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ასრულებენ კომუნისტები ავანგარდულ როლს. კომუნისტებს, როგორც მასების ორგანიზატორებს, მოეთხოვებათ იყვნენ შეჯიბრებულთა ავანგარდში, უჩვენებდნენ ვალდებულებათა განაღდების მისაბაძ მაგალითებს.

მოწინავეთა მეთოდების ფართოდ დანერგვას პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. სისტემატურად უნდა მოეწყოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაცია, ეს გამოცდილება გავხადოთ საერთო საკუთრებად, მათ მაგალითზე აღვზარდოთ მასები.

სწორად რომ უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას, საჭიროა პარტიული მუშაკები ღრმად სწავლობდნენ წარმოების ეკონომიკას, საფუძვლიანად იცნობდნენ საწარმოს შესაძლებლობასა და რეზერვებს.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, მასში მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმა, შეუნელებელი ზრუნვა ნაკისრ ვალდებულებათა განუხრელი შესრულებისათვის კომუნიზმისაკენ ჩვენი ძლევამოსილი წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად 1947 წელს **მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის** მიღებისათვის, როცა ამასთანავე კოლმეურნეობებმა შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებანი და მეცხოველეობის განვითარების გეგმა პირუტყვის ყველა სახეობის მიხედვით, მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო"**:

1. მათე ივანეს-ძე **გოგიშვილს** — წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უფროს მეჯოგეს, რომელმაც ჯოგის მოვლა-შენახვისას 56 ფაშატის მოგებული 56 კვიცი გამოზარდა.

2. მიხეილ ილიას-ძე **ნავროზაშვილს** — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" თავმჯდომარეს, რომელმაც ჯოგის მოვლა-შენახვისას 50 ფაშატის მოგებული 50 კვიცი გამოზარდა.

3. ბაგრატ ილიას-ძე **უსენაშვილს** — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" მეცხენეობის ფერმის გამგეს, რომელმაც ჯოგის მოვლა-შენახვისას 50 ფაშატის მოგებული 50 კვიცი გამოზარდა.

4. ვლადიმერ ანდრიას-ძე **ხუციშვილს**—წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგეს, რომელმაც ჯოგის მოვლა-შენახვისას 56 ფაშატის მოგებული 56 კვიცი გამოზარდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1948 წლის 17 აგვისტო.

ახალი რეკორდი ალიზი აგურის გამოშვებაში

91.100 ცალი ცვლაში

ხარკოვი, 16 აგვისტო. (საკდესი). № 12 აგურის ქარხანაში მიხეილ ტოკალოვის ბრიგადამ ორმუნდშტუკიან წნეხზე გუშინ ერთ ცვლაში 91.100 ცალი ალიზი აგური გამოიღო ნაცვლად საშუალო პროგრესული ნორმით ნავარაუდევი 42.000 ცალისა. ამით ამხ. ტოკალოვის ბრიგადამ გადააჭარბა ამას წინათ ხარკოველ მიხეილ პოტაპოვის ბრიგადის მიერ დამყარებულ რეკორდს. ამ ბრიგადამ ცვლაში 80.148 აგური გამოუშვა.

ჩვენს რესპუბლიკაში



მურაბის ხარშვა „საქხილბოსტანის" კობულეთის კომბინატის მურაბის სახარშ საამქროში. წინა პლანზე მოწინავე მხარშავი ნესტან ბზიავა.

ფოტო რ. აკოფოვისა

ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" პირველი სრულიად საქართველოს ყრილობა

17 აგვისტოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" პირველი სრულიად საქართველოს ყრილობის მეორე სხდომაზე კამათში ამხ. ქ. ციმაკურიძის მოხსენების გამო მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: დავითაძემ (აჭარის ასსრ), გველესიანმა (ჭიათურა) და კალანდაძემ (თბილისი).

შემდეგ ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვ. ხატიაშვილის მოხსენება. ყრილობამ სამანდატო კომისიის მოხსენება დაამტკიცა.

ყრილობამ საზოგადოება „ტყის მეგობრის" რესპუბლიკური საორგანიზაციო ბიუროს მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და დასახა სათანადო ღონისძიებანი მომავალი საქმიანობისათვის.

ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" წესდება.

შემდეგ შესდგა ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. ყრილობამ საზოგადოება „ტყის მეგობრის" რესპუბლიკურ საბჭოში ერთხმად აირჩია 47 კაცი, ხოლო სარევიზიო კომისიაში — 5 კაცი.

ამით დაამთავრა მუშაობა ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" პირველმა სრულიად საქართველოს ყრილობამ.

• • •

შესდგა ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" რესპუბლიკური საბჭოს პირველი სხდომა. არჩეულ იქნა საბჭოს პრეზიდიუმი 11 კაცის შემადგენლობით. საზოგადოება „ტყის მეგობრის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. გოგუა, მოადგილეებად — ქ. ციმაკურიძე და ვ. გულისაშვილი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ბ. კიზირია.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ფუნიკულიორის პლატოზე (მთაწმინდაზე)

ფოტო ვ. ჯღირანოვისა

სტალინირში შენდება ასფალტის ქარხანა

გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს სტალინირში ასფალტის ქარხნის მშენებლობა. ძირითადი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მშენებლებს ვალდებულება აქვთ აღებული ქარხანა საექსპლოატაციოდ გადასცენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31 წლისთავზე.

საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ქარხანა დღე-ღამეში 100 ტონა ასფალტს გამოუშვებს.

მარგანეცის სექტემბრის ანგარიშში

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღარომ 14 აგვისტოსათვის შეასრულა რვა თვის გეგმა. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს მესამე და მეექვსე უბნებმა. 15 აგვისტოდან მაღაროს კოლექტივი სექტემბრის ანგარიშში იღებს მარგანეცს.

ახალი კონსტრუქციის გუთანი

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის კოლექტივმა უკანასკნელ ხანებში აითვისა ახალი კონსტრუქციის გუთანი. აღნიშნული გუთანი სპეციალურად განკუთვნილია ვენახის ნიადაგის დასამუშავებლად. ქარხანაში უკვე შეუდგნენ გუთნის მასობრივ დამზადებას. წლის ბოლომდე ქარხნის კოლექტივი 500-ზე მეტ ასეთ გუთანს დაამზადებს.

ქარხანა ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღით უზრუნველჰყოფს როგორც ჩვენი რესპუბლიკის მევენახეობის რაიონებს, ისე მოძმე რესპუბლიკებს — აზერბაიჯანსა და სომხეთს.

აგებენ საკოლმეურნეო კლუბებს

ჩხოროწყუ, (საკ. კორ.). გორელ კოლმეურნეთა მიმართვას — სოფლის კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების შესახებ — გამოეხმაურა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის კოლმეურნეობა. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს თავიანთი ძალებით აავონ 500 ადგილიანი კლუბის ახალი შენობა. მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და დამთავრდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31 წლისთავზე.

ახალ საკოლმეურნეო კლუბს აშენებენ აგრეთვე ჩხოროწყუს კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" კოლმეურნეებიც. კლუბი დაიტევს 150 მაყურებელს. მშენებლობა დამთავრდება მეოთხე კვარტალის ბოლოს.

ახალი ადმინისტრაციული სახლი

წალკაში შენდება ახალი ორსართულიანი სახლი, სადაც მოთავსდება პარტიის რაიკომი. მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1948 წლის ბოლოსათვის, ყველა საჭირო მასალა და მუშახელი არის. შენობის კედლები მთლიანად ამოყვანილია. მაგრამ ახლა მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს. არსებულ შესაძლებლობას უნარიანად ვერ იყენებს და არ ჩქარობს რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება.

ორი წინადადების შედეგად მიღებული ეკონომია

ხაშური (საკ. კორ.). ხაშურის სავაგონო დეპოს ოსტატმა გ. აბიაშვილმა შეიტანა ორი რაციონალიზატორული წინადადება. ერთი წინადადება ეხება სამგზავრო ვაგონის ჭერისა და იატაკის კეთებას, ხოლო მეორე — ვაგონის კედლების შეფიცვრას. საიატაკე და საჭერე ფიცრების დამუშავებას — ნარანდის ამოღებას და კოტას კეთებას დღემდე აწარმოებდნენ ორ დაზგაზე, რასაც დიდი დრო და შრომა სჭირდებოდა. აბიაშვილის წინადადებით ორივე ამ პროცესის შესრულება ახლა ხდება ერთ სარანდავ დაზგაზე. ამან შრომის ნაყოფიერება გაადიდა ორჯერ, ხოლო დამუშავების დრო ორნახევარჯერ შეამცირა.

მეორე წინადადებით საკედლე ფიცრების დაყენება ხდება წნეხის საშუალებით და არა ხელით, როგორც დღემდე იყო. ორივე ამ წინადადების განხორციელებას სავაგონო დეპოში უკვე რამდენიმე დღეა შეუდგნენ. გ. აბიაშვილის ამ წინადადებათა განხორციელებით სავაგონო დეპოს ყოველწლიური ეკონომია 13.050 მანეთს მიაღწევს.

კოლმეურნეთა დახმარებით

ზუგდიდი (საკ. კორ.). სოფელ რუხის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ხაშურელთა მიმართვას. ამ სოფელში 3 კოლმეურნეობა და ამდენივე სკოლაა. კოლმეურნეთა დახმარებით მიმდინარე რემონტი გაუკეთდა სკოლის სამსავე შენობას, შეიძინეს 54 მერხი, 13 დაფა, 5 კარადა და 8 მაგიდა. შემოაკავეს ეზოები, შეაკეთეს 64 მერხი, 4 მაგიდა და 11 სკამი. დაიწყო შეშის მიზიდვა.

დიდი მუშაობაა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით სოფელ ჭითაწყაროშიც. ამ სოფლის გაზეთ „მებრძოლის" სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საკუთარი სახსრებითა და შრომითი მონაწილეობით აავეს 6-ოთახიანი სასკოლო შენობა, შეაკეთეს მერხები, მაგიდა, დაფა და სხვა სასკოლო ინვენტარი.

სოფელ ხეცურაში კოლმეურნეთა ინიციატივით 8-წლიან სკოლას ახლად გაუკეთდა 4 ღუმელი, 2 მერხი, 3 მაგიდა, 1 კარადა; გადახურეს შენობა, მოზიდეს 55 კუბმეტრი შეშა, შემოაკავეს ეზო. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს კოლმეურნეებმა რ. ჭითანავამ, ქ. პაჭკორიამ, გ. მელიამ, ო. ზალიკაშვილმა, რ. პაჭკორიამ და სხვ.

სულ რაიონში კოლმეურნეთა დახმარებით მიმდინარე რემონტი უკეთდება 49 სკოლას, შეკეთებულია 68 მაგიდა, 170 მერხი, 25 კარადა, უახლოეს ხანებში მოზიდულ იქნება 12 ათასი კუბმეტრი შეშა.

ბინები მასწავლებლებისათვის

ჭიათურა (საკ. კორ). სოფელ ეწერის მშრომელებმა საუცხოო თაოსნობა გამოიჩინეს. მათ თავიანთი ძალებით აავეს რვაწლიანი სკოლის ახალი შენობა. აქ ახალი სასწავლო წელი ახალ შენობაში დაიწყება.

წარმატებით მიმდინარეობს ნიგოზეთის საშუალო სკოლის მშენებლობა. მასში აქტიურად მონაწილეობენ ნიგოზეთისა და ბერეთის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეები. მიმდინარეობს აგრეთვე ბეჟინევისა და წინსოფლის დაწყებითი სკოლების ახალ შენობათა აგება.

კეთილშობილური თაოსნობა წამოიწყეს ხრეითისა და გეზრულის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეებმა. ისინი მასწავლებლებისათვის აშენებენ საცხოვრებელ ბინებს. მშენებლობა 1 დეკემბრისათვის დამთავრდება.

სასწავლო კომბინატი ომის ინვალიდებისათვის

თბილისში დიდუბეში მუშაობს თავისი ხასიათით საინტერესო საწარმო. აქ ამზადებენ ფართო მოხმარების მრავალი ასორტიმენტის საქონელს. ეს არის საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს პირველი სასწავლო-საწარმოო კომბინატი. იგი მოწოდებულია სპეციალობა შეასწავლოს და კვალიფიკაცია აუმაღლოს დიდი სამამულო ომის ინვალიდებს და მათი ოჯახის წევრებს. კომბინატში მოწყობილია საავეჯო, საფეიქრო, სატრიკოტაჟო, მექანიკური საამქროები, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სამკერვალოები და სხვა. კომბინატი ყოველწლიურად ასობით ინვალიდს ასწავლის სხვადასხვა პროფესიას. მიმდინარე წელს კომბინატი გამოუშვებს 300 კაცს. წელს აქ მოამზადეს და უკვე კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნეს 90 მეფუტკრე სპეციალისტი.

სამამულო ომში დაზარალებულთა სწავლისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, კომბინატი სტალინის რაიონში აშენებს სამსართულიან შენობას. პირველ ორ სართულში მოთავსებული იქნება კომბინატის ყველა სახელოსნო, ხოლო მესამე სართულზე ასი ოჯახისათვის მოეწყობა საცხოვრებელი ბინები. მშენებლობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. იგი მზად იქნება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 31-ე წლისთავისათვის.

საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობა

სტალინირი, (საკ. კორ.). სტალინირის რაიონის მთელი რიგი სოფლების კოლმეურნეობათა საერთო კრებებმა დადგენილება გამოიტანეს საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობის შესახებ.

ბევრი კოლმეურნეობა პრაქტიკულად შეუდგა დადგენილების განხორციელებას.

საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს სოფელ ქსუისის, ვანათის, არცევისა და ქურთის კოლმეურნეობებში.

ჭიათურა, (საკ. კორ). მანდაეთის, დარკვეთის, სვერის და ხრეითის კოლმეურნეობებში აავეს საკოლმეურნეო აბანოები. ისინი მომსახურებას უწევენ სოფლის მშრომელებს. საკოლმეურნეო აბანოებს აშენებენ აგრეთვე კაცხ-სალიეთის სტალინის სახელობის და ტყემლოვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები.

წალკა, (საკ. კორ.). წელს კოლმეურნეობები აშენებენ 11 აბანოს. სოფელ ავრალოში, კუშაში, აიაზმაში, ბაშკოვში, ქუმბათსა და ახალიკში აბანოების მშენებლობა დამთავრების პროცესშია. ბევრგან კი ეს სამუშაო ჭიანურდება საჭირო მილებისა და ცემენტის მიუწოდებლობით. ამას კი რაიკოოპკავშირი ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

კოლმეურნეთა კულტურული მომსახურება

ნაყოფიერად მუშაობს გორის კულტურის სახლი. რაიონის კოლმეურნეობებში კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ 76 კონცერტი და საღამო გამართა. მხატვრული საღამოები მოეწყო სოფელ ტყვიავში, ატენში, შინდისში, ტირძნისში, დიცში.

აგიტმხატვრული ბრიგადები ასეთივე მუშაობის შესასრულებლად გაემგზავრნენ მთის ზონის კოლმეურნეობებში.

რაიონის კეთილმოწყობა

ასპინძა, (საკ. კორ.). წელს ფართოდაა გაშლილი მუშაობა ასპინძის რაიონის კეთილმოწყობისათვის. მარტო „ტყის დღესთან" დაკავშირებით დარგულ იქნა 69.800 ძირი მცენარე.

სოფელ ძველის სასოფლო საბჭოში ნაცვლად 5.000 ძირი მცენარისა დარგეს 7.000 ძირი, აქედან 800 ძირი აკაცია, 1.420 ძირი ჭანჭური, 4.600 ძირი ალვის ხე.

სოხუმის თეატრები საგასტროლოდ გაემგზავრნენ

სოხუმის ქართულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სეზონის განმავლობაში მაყურებელს უჩვენა 13 ახალი პიესა. მათ შორის ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია", ა. მოვზონის „კონსტანტინ ზასლონოვი", ალ. ყაზბეგის „ქეთევან დედოფალი" და სხვ.

თეატრმა ამავე დროს აღადგინა გასული წლის სეზონის ბევრი დადგმა: „ხევისბერი გოჩა", „კრიტო", „ლამპარი" და სხვა. სეზონის დახურვის შემდეგ ქართული და აფხაზური თეატრები საგასტროლოდ გაემგზავრნენ აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში.

ამ დღეებში ქართული დრამის კოლექტივმა ქალაქ ოჩამჩირეში მაყურებელს უჩვენა „ქეთევან დედოფალი", „კონსტანტინ ზასლონოვი", „გამახარე" და „შეყვარებულნი".

აფხაზური თეატრი სპექტაკლებს მართავს ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აფხაზური თეატრის კოლექტივი გასტროლების დროს მაყურებელს უჩვენებს „კრიტოს", „სკაპენის ოინებს", „დიდ ქორწილს" და მთელ რიგ სხვა დადგმებს.

აჭარის ასს რესპუბლიკის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები თბილისში

თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი მ. ჩხიკვიშვილი, ლოტბარი ვ. სადრაძე, ცეკვების დამდგმელი აჭარის ასს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ხაბაძე). პროგრამაშია ხალხური და კლასიკური სიმღერები ქართულ, რუსულ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, აგრეთვე კავკასიის ხალხთა ცეკვები.

ანსამბლმა ჩამოსვლის პირველ დღეს კონცერტი გამართა ქალაქ რუსთავში, ამჟამად კი კონცერტებს მართავს თბილისში.

შემდეგ ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრება სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში.

ხალხური სიმღერების გუნდი ასურეთის კოლმეურნეობაში

ასურეთის საკოლმეურნეო კლუბთან არსებულ ხალხური სიმღერების გუნდს ხელმძღვანელობს ლოტბარი ვ. კობახიძე. გუნდში 50 კოლმეურნეა. გუნდმა უკვე შეისწავლა 40-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა.

გუნდი ახლო ხანში მომსახურებას გაუწევს მახლობელ კოლმეურნეობებს. ამავე დროს იგი გაცხოველებით ემზადება მიმდინარე წლის საკოლმეურნეო გუნდების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

პარტიული ცხოვრება

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა ჩვენი ღვიძლი საქმეა

რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტის უნარიან ხელმძღვანელობაზე ბევრად არის დამოკიდებული პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საქმე.

ინსტრუქტორ-პროპაგანდისტის მუშაობა მრავალფეროვანია. პროპაგანდისტმა უნდა შესძლოს კომუნისტთა ამოქმედება, უნდა დააინტერესოს ისინი, რომ გულდასმით მუშაობდნენ წიგნზე, სისტემატურად და თანმიმდევრულად იმაღლებდნენ თეორიულ დონეს. ამ მიზნის მისაღწევად ვსწავლობ ცალკეული პარტორგანიზაციების მუშაობას, ვამოწმებ წრეებს, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს, აგიტატორებს, შემჩნეულ ნაკლზე მივუთითებ, ვესაუბრები მათი გამოსწორების გზებზე და პრაქტიკულადაც ვეხმარები. ამა თუ იმ ორგანიზაციის დადებით გამოცდილებას ზონის სხვა ორგანიზაციებშიც ვავრცელებ. ხშირად ვესწრები პარტიულ კრებას, რომელზეც პოლიტიკური განათლებისა და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს იხილავენ, ვეხმარები კრების მონაწილეებს საკითხების სწორად გადაჭრაში, ხოლო კრების შემდეგ თვალყურს ვადევნებ, თუ როგორ ხორციელდება მისი დადგენილებანი. ეს განამტკიცებს პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას.

ზოგი პირველადი პარტიული ორგანიზაცია მეტ დახმარებას მოითხოვს, ზოგი ნაკლებს, მაგრამ ყოველ თვეში ერთხელ მაინც ვახერხებ თვითეულ ორგანიზაციაში მისვლას. სადაც მეტი დახმარება ესაჭიროებათ, მეტ დროს ვრჩები. დროდადრო ვიწვევ ზონის პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირს, განსაკუთრებით კი იმათ თათბირს, რომელთაც მეტი დახმარება ესაჭიროებათ. ვსაუბრობ არა მარტო მდივნებთან და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან, არამედ რიგით კომუნისტებთანაც, რითაც ვარკვევ მათი პოლიტიკური მომზადების დონეს. ასეთ საუბრებს სასურველი შედეგი მოაქვს.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში კომუნისტების დიდი უმრავლესობა არ მუშაობდა წიგნზე. ტროლეიბუსის სამსახურის უფროსი ამხ. ანთაძე ვერ ერკვეოდა პარტიის ისტორიის ცალკეულ საკითხებში და მიზეზად დროის უქონლობას ასახელებდა. საუბარში მას დავუმტკიცეთ, რომ მონდომებული, დაინტერესებული კომუნისტი ყოველთვის გამონახავს დროს წიგნზე მუშაობისათვის. ამხ. ანთაძემ მართლაც გამონახა თავის თავზე მუშაობის დრო და გარკვეულ შედეგსაც მიაღწია. ამას წინათ მან თეორიულ კონფერენციაზე შესანიშნავი მოხსენება გააკეთა. ახლა ამ ორგანიზაციაში არა მარტო ხელმძღვანელი მუშაკები, რიგითი კომუნისტებიც კარგად მეცადინეობენ. მექანიკოსი ალ. ვახტანგიშვილი, ვატმანი გ. ასატურიანი, ზეინკალი ტურკინი, ხარატი მამასახლისოვი, ჭებაშვილი, სამადაშვილი, ბატრაკოვი და სხვები, რომელნიც წინათ პოლიტიკურად ჩამორჩენილი იყვნენ, სისტემატურად მეცადინეობენ, ესწრებიან ლექციებს, კონსულტაციებს, თეორიულ საუბრებს, მონაწილეობენ თეორიულ კონფერენციებში. პარტიულ ორგანიზაციას საამქროების მიხედვით გამოყოფილი ჰყავს კონსულტანტები, რომელნიც ეხმარებიან წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. კვირაში ერთხელ ეწყობა ჯგუფური კონსულტაციები, გაწეული მუშაობის აღრიცხვა ხდება ჩვენ მიერ მითითებული ფორმით. აღნიშნულმა ორგანიზაციამ საგიტაციო მუშაობაც გააუმჯობესა. 42 აგიტატორი სისტემატურად აწყობს საუბრებს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და მის სახელოსნოებში, ხოლო 15 ამხანაგი მოსახლეობაში. აგიტკოლექტივს პარტბიუროს მდივანი ამხ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს. იგი დიდად დაინტერესებულია აგიტატორთა მეცადინეობის იდეური დონის ამაღლებით, სერიოზულად ემზადება აგიტკოლექტივის მეცადინეობისათვის, ესწრება რაიკომის პარტკაბინეტში მოწყობილ ლექციებსა და სემინარებს.

ასეთი მაგალითები ბევრია. იდეოლოგიური მუშაობა კარგად არის დაყენებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქარხნისა და მრავალ სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში.

ინსტრუქტორ-პროპაგანდისტის მუშაობას ნაკლები შედეგი მოაქვს იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციის მდივნები თვითონ არ არიან დაინტერესებული კომუნისტების თეორიული განათლების საქმის საჭირო სიმაღლეზე დაყენებით. ჩემს ზონაში არიან ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ჩამორჩებიან საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში. ასეთია, მაგალითად, სახელგამის № 1 სტამბის (მდივანი ამხ. ხელაძე), რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს (მდივანი ამხ. ლაშხი) პირველადი პარტიული ორგანიზაციები. მათთან კიდევ მეტი მუშაობაა საჭირო.

როგორც წესი, ვხელმძღვანელობ ორ წრეს. მათ დაკომპლექტებაში ვეხმარები პარტორგანიზაციის მდივნებს. ვცდილობ ჩემი საუბარი იყოს გასაგები, მიმზიდველი, მაგრამ არა მარტო ამ წრეების მუშაობით ვარ დაინტერესებული, არამედ ჩემი ზონის ყველა წრის ხელმძღვანელებს ვეხმარები მუშაობაში, ვუწევ კონტროლს.

ზონის პარტიულ ორგანიზაციებში ხშირად ეწყობა თეორიული კონფერენცია. თემების შერჩევასა, საკითხების მომზადებასა და კონფერენციების ჩატარებაში ვეხმარები პირველადს ორგანიზაციებს. მაგალითად, ამ დღეებში ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: ლენინის ნაშრომი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". მოხსენება გააკეთა ამხ. ჩ. რაფავამ. მას სერიოზულად ემუშავნა ამ საკითხზე. შინაარსიანი სიტყვებით გამოვიდნენ ინსტიტუტის დირექტორი ა. მარუაშვილი და სხვა ამხანაგები. დასასრულ მაინც საჭირო გახდა ზოგიერთი შენიშვნა გამეკეთებინა. ასეთი საჭიროება ხშირად წამოიჭრება ხოლმე თეორიული კონფერენციების დროს.

მომხსენებელთა ჯგუფის მუშაობაშიც ვმონაწილეობ. ხშირად ვკითხულობ ლექცია-მოხსენებებს ზონის საწარმოებსა და დაწესებულებებში. ვხელმძღვანელობ პარტკაბინეტში ჩამოყალიბებულ მცირერიცხოვანი ორგანიზაციების აგიტატორთა სემინარს, ვაწყობ მათთან თათბირებს, საუბრებს საგიტაციო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების საკითხებზე. ზონის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებს ვეხმარები სამუშაო გეგმის შედგენაში, თემატიკის გამომუშავებაში, ვაწყობ მათ სემინარებს, ვესწრები აგიტკოლექტივის მეცადინეობას, აგიტსაუბრებს და სათანადო შენიშვნებსა და მითითებებს ვაძლევ.

სერიოზული მუშაობა მიხდება პარტიულ ორგანიზაციებში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებთან. დროის განსაზღვრულ ნაწილს ვახმარ ბიუროს სხდომებისათვის საკითხის მომზადებას, მასალების შეგროვებას ინფორმაციისათვის.

მეტად ფართოა ჩვენი მუშაობის სფერო. პროპაგანდისტული დარგის მუშაკების ძირითადი ამოცანაა მარქსისტულ-ლენინური თეორიით კადრების, მასების შეიარაღება. ამ ამოცანის შესასრულებლად აუცილებელია თვითი პროპაგანდისტი იყოს მარქსისტულ-ლენინური თეორიით კარგად შეიარაღებული. სისტემატურად ვიმაღლებ თეორიულ დონეს. განსაკუთრებულ დახმარებას მიწევს კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში მოწყობილი პროპაგანდისტთა მუდმივი სემინარი. ამ სემინარში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მრავალი ღირსშესანიშნავი ნაშრომი შევისწავლეთ. სემინარმა და 5 წლის პრაქტიკულმა მუშაობამ ბევრი რამ შემძინა.

ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანები პროპაგანდისტთა მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს. ვცდილობ უკეთესად, უნაკლოდ ვიმუშაო.

ვ. შანიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტი

12 აგვისტოს სადგურ სილიკატნაიას (მოსკოვის ახლოს) რაიონში დაიწყო ავიამოდელისტთა XVII საკავშირო შეჯიბრება, მიძღვნილი საბჭოთა საავიამოდელო სპორტის 25-ე წლისთავისადმი. შეჯიბრებაში 38 გუნდი მონაწილეობს. მათ წარმოადგინეს ბენზინისა და დიზელის მოტორიანი, რეაქტიულ-ძრავიანი თვითმფრინავებისა და ჰიდროთვითმფრინავების 600-ზე მეტი მოდელი და პლანერთა მოდელები.

სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი ნ. პ. კამანინი ესაუბრება შეჯიბრების მონაწილეთ. მარცხნიდან მარჯვნივ: საქართველოს სსრ რეკორდსმენი პლანერის მოდელის დარგში თერი ოქრუაშვილი (თბილისი), ნ. პ. კამანინი, ილარ ლინკი (ესტონეთის სსრ) და მოსკოვის ოლქის რეკორდსმენი „მფრინავი ფრთის" მოდელთა დარგში იგორ მოლოტკოვი (ორეხოვო-ზუევო).

ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში

ოდესა, 16 აგვისტო. (საკდესი). აქ დაიწყო კალათბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ჭაბუკთა და ქალიშვილთა ნაკრებ გუნდებს შორის. პირველობის გათამაშებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფს რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ნორჩი სპორტსმენები. შეჯიბრება 5 დღეს გასტანს.

საანგარიშო სადგური ქარხანაში

მსხვილ საწარმოთა ბუხჰალტერიები ყოველთვიურად ათასობით დოკუმენტს — სამუშაო ბარათებს, მატერიალურ მოთხოვნებსა და სხვ. ამუშავებენ. ამას დიდი დრო სჭირდება და ბევრ მოანგარიშე მუშაკს მოითხოვს.

მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხანაში ეწყობა სპეციალური საანგარიშო სადგური. სხვადასხვა საანგარიშო მექანიზმები, შემაჯამებელი და დამხარისხებელი მანქანები გაამარტივებენ და დააჩქარებენ რთულ და შრომატევად სამუშაოს.

პირველი მანქანები ქარხანამ უკვე მიიღო. 15 ოქტომბერს მუშაობას დაიწყებს საანგარიშო სადგურის პირველი რიგი, რომელიც განკუთვნილია ხელფასთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოანგარიშებასთან. (საკდესი).

შენიშვნები

პოპულარიზაციის ნაცვლად დისკრედიტაცია

უსათუოდ ცუდი შთაბეჭდილება შეექმნება კაცს ჩვენს მხატვრებზე, თუ იგი მათ შესახებ იმსჯელებს იმ „რეპროდუქციების" მიხედვით, რომლებსაც ბეჭდავს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ორგანო გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება" (რედაქტორი გ. ნატროშვილი).

გადავფურცლოთ გაზეთის უკანასკნელი თვეების კომპლექტი.

9 მაისის ნომერში დაბეჭდილია მხატვარ უჩა ჯაფარიძის ნახატი „რაჭული ურემი". სურათზე ძლივს თუ გაარჩევს კაცი ერთ ურმისთვალს, უღელს და ადამიანის ლანდს. ასე რომ ამ სურათის მიხედვით ვერ გაიგებთ, მაინც როგორია რაჭული ურემი. დავიჯეროთ, რომ უჩა ჯაფარიძემ ასეთი გაურკვეველი სურათი დახატა?

მომდევნო ნომერში გაზეთი ათავსებს მხატვარ ელ. ახვლედიანის ნახატს „სიღნაღი". ეს ნახატი ქვის დიდ შავ ლოდს უფრო ჰგავს, ვიდრე ქალაქს. დავიჯეროთ, რომ ელ. ახვლედიანი ასე ცუდად ხატავს?

გაზეთის 23 მაისის ნომერში დაბეჭდილია მხატვარ ა. ციმაკურიძის ნახატი „ჩითახევის მშენებლობა" (ალბათ უნდა იყოს „ჩითახევჰესის მშენებლობა"—რედ). სურათზე გარკვევით მოსჩანს მხოლოდ ხის ძელებისაგან გაკეთებული რამდენიმე კოშკი; მკრთალად მოსჩანს ორი კაცი, ხოლო რას აკეთებენ ისინი, ვერ გაიგებთ. ამ სურათით კაცი, ცხადია, ვერავითარ წარმოდგენას ვერ მიიღებს ჩითახევჰესის მშენებლობაზე. ასევე ბუნდოვნად არის გაზეთში გამოსული მხატვარ ვ. პუზირკოვის ნახატი „მეზღვაურები" (6 ივნისი), მხატვარ ს. მაისაშვილის ნახატი „ვახტანგ გორგასალი ნადირობაზე" (20 ივნისი), მხატვარ ვ. ტოროტაძის ნახატი „მირზაანის ნავთის საბადოები" (4 ივლისი), მხატვარ შ. მამალაძის ნახატი „შემოდგომა" (18 ივლისი), მხატვარ კ. გრძელიშვილის „ნატურ-მორტი" (25 ივლისი) და სხვ.

რედაქციას, როგორც სჩანს, კარგი განზრახვა ჰქონდა: მოეხდინა ჩვენი მხატვრების ნამუშევარის პოპულარიზაცია, სინამდვილეში კი გამოდის მათი დისკრედიტაცია.

მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა

ჩვენს ხელთ არის გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის" ა. წ. 1 და 3 აგვისტოს ნომრები. ერთიმეორეს მომდევნო ნომრებია ისინი. 1 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია ნ. ხარაბუას კორესპონდენცია სათაურით: „საკოლმეურნეო კლუბში", რომელიც ეხება გუდაუთის რაიონის სოფელ ანუხვა-აფხაზურის საკოლმეურნეო კლუბის მუშაობას. ავტორი სწერს, რომ აღნიშნული კლუბი

„... მნიშვნელოვან კულტურულ მუშაობას ეწევა კოლმეურნეთა შორის. კლუბის მუშაკები და აქტივისტები ხშირად გამოდიან მოსახლეობის წინაშე მოხსენებებითა და ლექციებით, აწყობენ მხატვრული თვითმოქმედების საღამოებს. მომღერალთა წრის მონაწილეებმა რამდენჯერმე მოაწყეს თვითმოქმედი სადამოები, შეასრულეს ქართული და აფხაზური სიმღერები და ცეკვები. რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიც მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები".

3 აგვისტოს ნომერში ამავე საკოლმეურნეო კლუბის შესახებ გაზეთმა დაბეჭდა ს. სანაძის კრიტიკული შენიშვნა სათაურით „უგულებელჰყოფენ კულტურულ მუშაობას". ავტორი სწერს:

„გუდაუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების სოფელ ანუხვა-აფხაზურის სასოფლო საბჭოს აღმასკომი სრულიადაც არ არის დაინტერესებული კლუბის საქმიანობით. კოლმეურნეებს არ ახსოვთ, როდის უყურეს კინოფილმს, როდის მოისმინეს ლექცია ან მოხსენება. ყოველივე ამის მოწყობა კი შეიძლებოდა. სოფელში მუშაობს ოთხი აგრონომი, ექვსი მასწავლებელი უმაღლესი განათლებით, მედიცინის რამდენიმე მუშაკი. მათ შეუძლიათ კოლმეურნეთა წინაშე გამოვიდნენ საინტერესო მოხსენებებითა და ლექციებით, მაგრამ მათ არ იზიდავენ სასოფლო კლუბის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის".

ამრიგად, გაზეთი კვირის ნომერში აქებს სოფელ ანუხვა-აფხაზურის კლუბის მუშაკებს, სამშაბათის ნომერში კი მიწასთან ასწორებს. რომელს დავუჯეროთ? სწორედ ამაზე იტყვიან: მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ვაჭრობის წესების დარღვევისათვის

„კომუნისტის" რედაქციაში შემოსული იყო მამხილებელი კორესპონდენცია, რომლის ავტორი გვწერდა, რომ თბილპურვაჭრობის № 132, 135 და 145 მაღაზიების მუშაკები სისტემატურად ამახინჯებდნენ საბჭოთა ვაჭრობის წესებს, წონაში ატყუებდნენ მომხმარებლებს, არ აძლევდნენ ხურდა ფულს, უწესრიგობა ჰქონდათ მაღაზიებში და სხვ.

ეს კორესპონდენცია შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა თბილპურვაჭრობის დირექტორს. როგორც თბილპურვაჭრობის დირექტორის მოადგილე ამხ. თხელიძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. № 132 მაღაზიის პურის გამყიდველები არუთინოვი, ოგანეზოვი, ალოიანი, №145 მაღაზიის პურის გამყიდველები მარტიროსოვი და ბალდასაროვი მოხსნილი არიან სამუშაოდან. № 135 მაღაზიის პურის გამყიდველებს ხელეპანოვს და ხარქისოვს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

* * *

ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოული) რაიონიდან კორესპონდენტი გვატყობინებდა, რომ რკინიგზის სადგურ წიფის № 30 ფარდულის გამყიდველი ვ. ლამბაშიძე ამახინჯებს ვაჭრობის წესებს და ატყუებს მომხმარებლებს.

ეს წერილი შესამოწმებლად გადავუგზავნეთ საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომს. როგორც რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. გამყიდველი ვ. ლამბაშიძე მოხსნილია სამუშაოდან სავაჭრო წესების დარღვევისათვის.

საღამოს პარტიული სკოლის გამოშვება

ტყიბული, (საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული ექვსთვიანი საღამოს პარტიული სკოლა დაამთავრა 24 მსმენელმა.

სკოლის მსმენელებმა საფუძვლიანად შეისწავლეს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის და საბჭოთა ეკონომიკის საკითხები, საბჭოთა კავშირისა და უცხო ქვეყნების გეოგრაფია.

სკოლადამთავრებულთათვის მოეწყო საუბარი თემაზე: როგორ უნდა ვიმუშაოთ დამოუკიდებლად წიგნზე.

საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბრძოლო ამოცანები

ჩვენში ტყეები საერთო სახალხო საკუთრებას წარმოადგენს, ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას ემსახურება. საბჭოთა ხელისუფლება ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავს ტყის გაშენებისა და აღდგენა-განახლებისათვის. ტყე არა მარტო მერქანს გვაძლევს, არამედ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კლიმატისა და ნიადაგის დაცვისათვის. ტყეები სწმენდენ, ასუფთავებენ, სამკურნალო და გამაჯანსაღებელ თვისებებს ანიჭებენ ჰავას, ჰქმნიან სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, როგორც მთელი მოსახლეობისათვის, ისე განსაკუთრებით ჩვენი კურორტებისა და ქალაქებისათვის. ტყეები ახდენენ ატმოსფერული ნალექების რეგულირებას და წარმოადგენენ ყველაზე ეფექტიან საშუალებას წყალდიდობის, ღვარის, მეწყერის, ნიადაგის ჩამორეცხვის წინააღმდეგ. ტყეები ამაგრებენ და იცავენ ჩვენი მდინარეების ნაპირებს, რკინიგზებს, შარაგზებს, საინჟინრო ნაგებობებს, ქარისა და ყინვისაგან იფარავენ ძვირფას სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ტყეებს უდიერად ექცეოდნენ. ამის შედეგად ტყის მთელი რიგი მასივები ან სრულიად მოისპო ანდა საგრძნობლად შემცირებულია. მაგალითად, ჯავახეთის, წალკის, დმანისის და ყაზბეგის რაიონებში ტყეები სულ არ არის. განადგურებულია ტყეები თბილისის გარშემო მდებარე მთის ფერდობებზე და მთელ რიგ სხვა ადგილებში. წარსულში მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად განადგურებამდე იქნა მიყვანილი ტყის მთელი რიგი ძვირფასი ჯიშები — ბზა, წაბლი, მუხა, უთხოვარი, კაკალი და სხვ. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დიდი მუშაობაა საჭირო.

მიუხედავად იმ დიდი ყურადღებისა, რასაც პარტია და ხელისუფლება ტყეების განახლება-გაშენების საქმეს აქცევენ, ტყეების და მწვანე ნარგავების მდგომარეობა საქართველოში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1946 წლის 15 აპრილს აღნიშნა, რომ „...საქართველოს თუმცა გააჩნია ტყის მნიშვნელოვანი მასივები, მაგრამ, არსებითად, ჩვენ მაინც უტყეო რესპუბლიკა ვართ. საექსპლოატაციოდ მისაწვდომ ტყეებს ჩვენში აქვს საკურორტო და ნიადაგთმცველი მნიშვნელობა, ხოლო ის ტყეები, რომლების ექსპლოატაციაც შეიძლება, მდებარეობენ ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანს მისვლა უჭირს".

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ფართო ღონისძიებანი ტყის გაშენება-მოვლის საქმეში. ტყე გაშენდება 12.900 ჰექტარზე, სანერგეები—362,5 ჰექტარზე, განხორციელდება 18.000 ჰექტარი ტყის ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებანი.

სატყეო მეურნეობაში ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებთან დაკავშირებით საკავშირო მთავრობის დადგენილებით 1947 წლიდან შექმნილია საკავშირო რესპუბლიკური მნიშვნელობის სატყეო მეურნეობის სამინისტრო. ამ სამინისტრომ დიდი სამუშაო უნდა შეასრულოს სატყეო მეურნეობის განვითარების დარგში.

მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში დასახული ამოცანების გადაჭრის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამ მხრივ თვალსაჩინო როლი ეკისრება ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენებისა და დაცვის ხელშემწყობ სრულიად საქართველოს ნებაყოფლობით საზოგადოება „ტყის მეგობარს".

საზოგადოება „ტყის მეგობარი" მიზნად ისახავს თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს ჩაუნერგოს მწვანე ნარგავებისადმი სიყვარული და მათი დაცვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას საზოგადოების წინაშე უტყეო და მცირეტყიან რაიონებში (მაგალითად, ყაზბეგის, წალკის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის რაიონები). ამ რაიონებში უახლოეს დროში უზრუნველყოფილ უნდა იქნას ტყის მასივების გაშენება.

ყოველწლიურად საქართველოს მევენახეობისათვის საშუალოდ საჭიროა 50 მილიონამდე ცალი ჭიგო. დღემდე ჭიგოს დამზადება ძირითადად სახელმწიფო ტყეებში სწარმოებს, რითაც დიდი ზიანი მოსდის ახალგაზრდა მცენარეებს. საჭიროა მიზნად დავისახოთ, რომ თვითეულმა საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ შექმნას თავისი საკუთარი ტყის დაბალტანიანი კულტურების მეურნეობა ჭიგოსათვის გამოსადეგი ჯიშებისაგან (მაგალითად, აკაცია), რომლის პროდუქციაც საკმარისი იქნება საქართველოს მევენახეობისათვის.

როგორც სატყეო მეურნეობის სამინისტროს ორგანოებმა, ისე საზოგადოება „ტყის მეგობარმა" ძირითად ამოცანად უნდა დაისახონ სწრაფად მზარდი ჯიშების გაშენება, რომელნიც თავისი მერქნის საუკეთესო ხარისხით მეტ სარგებლობას მოუტანენ მოსახლეობას.

საზოგადოება „ტყის მეგობრის" მუშაობის სერიოზული უბანია ევკალიპტის გაშენება. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ბერიამ სთქვა:

„უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რა ევკალიპტის კულტურის განვითარების საქმეს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მომავალშიც მტკიცედ მოითხოვს სუბტროპიკული რაიონების ყველა ხელმძღვანელი მუშაკისაგან, რათა მათ ყოველდღიურად იმუშაონ ევკალიპტის გაშენების საკითხებზე, მიაღწიონ იმას, რომ უახლოეს წლებში ევკალიპტის ხეები იყოს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ საკარმიდამო ნაკვეთზე, ქუჩებში, ბულვარებში, მოედნებზე, სკოლებთან და დაწესებულებებთან, ყველა ქალაქსა და სოფელში".

აქედან სათანადო დასკვნა უნდა გავაკეთოთ. საზოგადოება „ტყის მეგობარმა" და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა სატყეო მეურნეობის და მიწათმოქმედების ორგანოებთან ერთად უნდა განახორციელონ ფართო ღონისძიებანი ევკალიპტის კულტურის გაშენების დარგში აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, გურიისა და სამეგრელოს რაიონებში. უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში ევკალიპტების ნარგავების რაოდენობა 50 მილიონ ძირამდე უნდა ავიყვანოთ.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე სერიოზული მუშაობაა გაწეული ჩვენი ქალაქების გამწვანებისათვის, მაგრამ რაც გაკეთდა, არ კმარა. საზოგადოება „ტყის მეგობრის" საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, კომუნალურ განყოფილებებთან ერთად, უნდა დასახონ ღონისძიებანი ახალი პარკების, სკვერების გასაშენებლად და არსებული პარკების გასაფართოებლად, გააშენონ მწვანე ნარგავები ყველა ქუჩის გასწვრივ და თავისუფალი მიწის ფართობზე, ამასთანავე უზრუნველჰყონ მათი მოვლა და დაცვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სამრეწველო ქალაქების ირგვლივ მწვანე ზონების შექმნა, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის, თბილისის ახლომდებარე ფერდობებზე ტყის და მწვანე ნარგავების გაშენება. ამაზე სერიოზულად უნდა იზრუნონ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამწვანების ტრესტმა, საზოგადოება „ტყის მეგობარის" საქალაქო საბჭომ.

სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის პირველ რიგში საჭიროა შევქმნათ სანერგეები. ასეთი სანერგეები ამჟამად მხოლოდ სატყეო მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს აქვთ, რაც, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ მოთხოვნილებას. საჭიროა, რომ საზოგადოება „ტყის მეგობარმა" თვითონ შეჰქმნას თავისი საკუთარი სანერგეები. ერთი ასეთი, რესპუბლიკური მნიშვნელობის, დიდი სანერგის შექმნა გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მახლობლად. სანერგეები უნდა მოეწყოს აგრეთვე რაიონულ ცენტრებსა და კოლმეურნეობებში. ამასთახავე საჭირო იქნება ხელი მოვკიდოთ ტყის გაშენებას თესლის საშუალებითაც.

საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობარი" მოკლე ხნის მანძილზე პოპულარული ორგანიზაცია გახდა. საქართველოში უკვე შექმნილია საზოგადოება „ტყის მეგობრის" 8.033 პირველადი ორგანიზაცია 489.864 წევრით.

მიმდინარე წლის 18-25 აპრილს საზოგადოება „ტყის მეგობრის" თაოსნობით ჩატარებულ „ტყის დღეს" ფართოდ გამოეხმაურა მთელი რესპუბლიკის მოსახლეობა. მასში მონაწილეობა მიიღო ათეულ ათასობით მუშამ, მოსამსახურემ, კოლმეურნემ, სტუდენტმა და მოწაფემ. ბევრგან მოსახლეობის თვითეულ სულზე დარგულია 8-9 მცენარე. მაგალითად, ზესტაფონის რაიონში დარგულია 609.500 ძირი, ე. ი. თვითეულ სულზე—9,7 ხე, ორჯონიკიძის რაიონში—546.400 ძირი, ე. ი. თვითეულ სულზე 9,3 ხე, მაიაკოვსკის რაიონში — 228.000 ძირი, ე. ი. თვითეულ სულზე 8 ხე. „ტყის დღე" წარმატებით ჩაატარეს აგრეთვე დუშეთის, ყვარლის, ჩხარის და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა. არადამაკმაყოფილებლად ჩაატარეს „ტყის დღე" გორის, ახალქალაქის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, წალენჯიხის რაიონებმა. ამ რაიონებში თვითეულ სულზე დარგული ხეების რაოდენობა ერთ ძირს არ აღემატება.

მთელმა რიგმა რაიონებმა დამაკმაყოფილებლად იმუშავეს საზოგადოება „ტყის მეგობრის" პირველადი ორგანიზაციების შესაქმნელად. ამ რაიონებში მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი უკვე მონაწილეობს საზოგადოების მუშაობაში. მაგალითად, ქალაქ ჭიათურაში საზოგადოების წევრად ითვლება მოსახლეობის 70,3 პროცენტი, ქუთაისის რაიონში—39,5 პროცენტი, ლანჩხუთის — 37,1 პროცენტი, ჩხარის—35 პროცენტი, წყალტუბოს — 34,7 პროცენტი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მოსახლეობის 34,8 პროცენტი.

მაგრამ ამ მხრივ არიან ჩამორჩენილნიც. მაგალითად, ქარელის რაიონში საზოგადოება „ტყის მეგობარი" აერთიანებს მოსახლეობის მხოლოდ 4,5 პროცენტს, საგარეჯოს რაიონში—5,6, ახმეტის—6,4, მახარაძის—8,5, კასპის — 8,9, ახალციხის რაიონში 9,5, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 11,1 პროცენტს. არადამაკმაყოფილებელია ამ მხრივ მდგომარეობა ქალაქ თბილისსა, რუსთავსა და ქუთაისშიც. საჭიროა საზოგადოება „ტყის მეგობარის" რესპუბლიკურმა საბჭომ და საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა თავიანთი მომავალი მუშაობის მთავარ ამოცანად დაისახონ საზოგადოებაში მოსახლეობის ფართოდ ჩაბმა. საზოგადოება „ტყის მეგობარი" უნდა გახდეს კიდევ უფრო მასობრივი ორგანიზაცია.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ საზოგადოების წევრთაგან შემოსულ შესასვლელ და საწევრო თანხების ზუსტად აღრიცხვას. ეს საქმე ამ თავითვე უნდა მოვაწესრიგოთ. საწევრო წიგნაკები უკვე დაბეჭდილია და უახლოეს დროში დაეგზავნება რაიონებს. შესასვლელი და საწევრო თანხების ზუსტად აღრიცხვისათვის შემოღებულია აგრეთვე მარკები, რომელიც ჩაიკვრება საწევრო წიგნაკებში.

გუშინ დამთავრდა ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" პირველი სრულიად საქართველოს ყრილობა, რომელმაც ორგანიზაციული საკითხების განხილვასთან ერთად დასახა საზოგადოების საბრძოლო ამოცანები. ახლა საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა ამ ამოცანების განსახორციელებლად.

ეჭვი არ არის, საზოგადოება „ტყის მეგობარი" ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უახლოეს დროში მიაღწიოს თვალსაჩინო შედეგს ტყისა და მწვანე ნარგავთა გაშენებისა და მოვლის გაუმჯობესების საქმეში.

ქ. ციმაკურიძე

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

კავშირგაბმულობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

(კავშირგაბმულობის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 21 ივლისის დადგენილებაში აღნიშნა, რომ კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობის დონე არ აკმაყოფილებს სახელმწიფო მმართველობის, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. მინისტრთა საბჭომ კავშირგაბმულობის სამინისტროს კონკრეტული პროგრამა დაუსახა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მინისტრთა საბჭოს დადგენილების განსახორციელებლად ღონისძიებათა შემუშავებას მიეძღვნა 10 აგვისტოს მოწვეული საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა აქტივის კრება.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის ორგანოების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგებისა და წლის მეორე ნახევარში კავშირგაბმულობის მუშაკთა წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ კრებაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოში ამხ. ი. მო[illegible]ავამ.

— საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებმა, — ამბობს მომხსენებელი, — რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კავშირგაბმულობის სამინისტროს დახმარებით გასულ წელს თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს როგორც სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად, ისე კავშირგაბმულობის საშუალებათა საქმიანობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მათ ვერ შესძლეს გასული წლის მოპოვებული წარმატების შენარჩუნება. კავშირგაბმულობის ორგანოების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას ადასტურებს მოქალაქეთა მრავალი საჩივარი, რაც გასულ და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემოვიდა. უპასუხისმგებლობა კადრების შერჩევაში, მათი დიდი დენადობა, დაგზავნილი სახსრების, ამანათებისა და სხვა ფასეულობის მტაცებლობის, ფლანგვისა და დაკარგვის შემთხვევები, დეპეშების მნიშვნელოვანი რაოდენობის დაგვიანება და მათი შინაარსის დამახინჯება, შიდა საოლქო და შიდა სარაიონო სატელეფონო კავშირის ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონე, საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, საქალაქთაშორისო სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზების, აგრეთვე საქალაქო სატელეფონო და რადიოკვანძების ქსელების ხშირი დაზიანება და შეფერხება, არასაკმაო დისციპლინა, — აი კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობის ძირითადი ნაკლოვანებანი.

საგრძნობი ჩამორჩენაა საფინანსო გეგმის შესრულებაშიც. წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია [illegible],6 პროცენტით, რის გამო სახელმწიფოს დავაკელით 1.737 ათასი მანეთი. ეს იმის შედეგია, რომ კავშირგაბმულობის ადგილობრივი ორგანოებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე არ გააჩაღეს ბრძოლა გეგმის შესასრულებლად. საფინანსო გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე კლიენტების დავალიანება კავშირგაბმულობის ორგანოებისადმი, რაც 1948 წლის 1 ივლისისათვის 971 ათას მანეთს უდრიდა.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ორგანოები საერთოდ რენტაბელური დაწესებულებებია, მაგრამ კავშირგაბმულობის 65 კანტორიდან 27 კვლავ არარენტაბელურად მუშაობს. რენტაბელური მუშაობის საკითხებს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა. გვაქვს სოფლის ისეთი განყოფილებანი, სადაც თანამშრომელთა რიცხვი არ შეეფერება მუშაობის მოცულობას. არ ხდება სახსრებისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვა.

სახელმწიფო საშტატო და საფინანსო დისციპლინის მტკიცედ დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანათა შორის.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საფოსტო, სატელეგრაფო-სატელეფონო, საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობის, აგრეთვე „სოიუზპეჩატის" მუშაობას, სახაზო-საკაბელო მეურნეობის მდგომარეობას, რადიოფიკაციის, რადიოკავშირგაბმულობისა და რადიოგადაცემების, კაპიტალური მშენებლობის, კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის დისციპლინის, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხებს და მოიყვანა მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებმა, მთელი საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის მუშაკებთან ერთად, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — უნდა გაამართლონ პარტიისა და მთავრობის ნდობა, გარდაქმნან და გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, უზრუნველჰყონ სახალხო მეურნეობა და მოსახლეობა ზუსტი და შეუფერხებელი კავშირგაბმულობით.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდა 24 კაცი.

აქტივის კრებამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. იმხანოვი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე ტრანსპორტის დარგში ამხ. მ. ბალავაძე.

დავაჩქაროთ მოსავლის აღება და ლეწვა

წელს წალკის რაიონში ჩვეულებრივზე 10-15 დღით გვიან დამწიფდა თავთავიანი მარცვლეული კულტურები. კოლმეურნეობათა ნაწილი მოსავლის აღებას 5 აგვისტოდან შეუდგა. ახლა რაიონში გაშლილია პურეულის მასობრივი მკა. ასაღებია 13.000 ჰექტარზე მეტი. 10 აგვისტოსათვის მომკილი იყო 705 ჰექტარი.

წალკელი კოლმეურნეები სერიოზული ამოცანის წინაშე დგანან. მათ მოსავალი უნდა აიღონ ძლიერ სწრაფად, რათა თავიდან აიცილონ დანაკარგები, დროულად მოიხადონ სახელმწიფოს წინაშე თავიანთი ვალდებულებანი.

12 აგვისტოს რაიონის აქტივის კრებამ განიხილა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საკითხი მოსავლის აღებასთან დაკავშირებით. ასობით აგიტატორი და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ეწევიან მუშაობას სოფლად და ეხმარებიან კოლმეურნეებს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების უზრუნველსაყოფად. კოლმეურნეებმა პირობა დასდეს მოსავლის აღების ტემპს არ ჩამოარჩინონ ლეწვა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულება ვადაზე 20-25 დღით ადრე შეასრულონ.

მოსავლის აღებას რაიონში პირველნი შეუდგნენ წალკის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. პელივანოვი), სოფელ აიაზმას ბაქრაძის (თავმჯდომარე ამხ. ოგანეზოვი), სოფელ წინწყაროს მახარაძის (თავმჯდომარე ამხ. ასლამაზოვი), სოფელ ბეშტაშენის ლენინის (თავმჯდომარე ამხ. კოსტანოვი) და კუშის მიქოიანის (თავმჯდომარე ამხ. მეგრაბიანი) სახელობის კოლმეურნეობები. მათ პირველებმა დაიწყეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. დამამზადებელ პუნქტს 10 აგვისტოსათვის მათგან მიღებული ჰქონდა 30 ტონა მარცვლეული. მარტო ბეშტაშენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 7 ტონა მარცვლეული ჩააბარა.

სოფელ ავრალოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა ჯიშიან თესლს აბარებს სახელმწიფოს. აქ ორგანიზებულად დაიწყეს მოსავლის აღება და თესლის მომზადება ჩასაბარებლად. 12 აგვისტოსათვის კოლმეურნეობას გამზადებული ჰქონდა 20 ტონა ჯიშიანი თესლი. მისი ჩაბარება კი ჭიანურდება იმის გამო, რომ „სახჯიშფონდის" წარმომადგენელი 12 აგვისტოსაც არ იყო მოსული თესლის მისაღებად.

კოლმეურნეობები მოსავალს ძირითადად ხელით იღებენ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ლეწვის სწორად მოწყობას. კოლმეურნეობებში მოამზადეს კალოები და კევრები, შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ ეს როდია საკმარისი. ამ საქმეში სერიოზული ამოცანა ეკისრება წალკის მტს-ის კოლექტივს (დირექტორი ამხ. ომიაძე, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. პირტანასოვი). როგორც ფაქტებმა დაგვანახვა, მტს-ი მზად ვერ შეხვდა პურეულის ლეწვას. მას აქვს 16 სალეწი მანქანა, რომელიც ახლა მთელი დატვირთვით უნდა მუშაობდეს. ფაქტიურად 12 აგვისტოსათვის მუშაობდა მხოლოდ 6 სალეწი მანქანა. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ეს საკითხი განიხილა და მტს-ის კოლექტივს მითითება მისცა. როგორც ჩანს, მტს-ის მუშაკებმა აქედან ჯერ კიდევ ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნა. მტს-ის მუშაკთა შორის არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. პირტანასოვი ოპერატიულად არ ეხმარება პირველად პარტიულ ორგანიზაციას. იგი მართალია დადის კოლმეურნეობებში, ხედავს მუშაობაში ნაკლოვანებებს, მაგრამ მათს გამოსწორებაში დახმარებას, ჩარევას საჭიროდ არ სცნობს. განა შეიძლება ასე უყურებდეს საქმეს პოლიტიკური მუშაკი?

საჭიროა მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის სწრაფად, უდანაკარგოდ აღების, ლეწვის დაჩქარებისა და პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ჩაის ფოთლის კრეფა

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 15 აგვისტოსათვის შესრულებული იყო 70,1 პროცენტით, აგვისტოსი, წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით, — 31,5 პროცენტით.

ბათუმის რაიონში თვიური გეგმა 39.9 პროცენტით არის შესრულებული, ქობულეთის რაიონში — 45,3 პროცენტით, გალის — 24,8, ოჩამჩირის — 18,3, გულრიფშის — 15,9, სოხუმის — 20, გუდაუთის — 15,1, მახარაძის — 39,2, ჩოხატაურის — 53,4, ლანჩხუთის — 45,1, სამტრედიის — 24,5, წულუკიძის — 14,5, ქუთაისის — 46,2, წყალტუბოს — 11,8, ტყიბულის — 58,7, ცხაკაიას — 12,1, აბაშის — 8, გეგეჭკორის — 25,9, ზუგდიდის 35,5, წალენჯიხის — 22, 9, ჩხოროწყუს — 23,4, ხობის — 5,9, ჩხარის — 10,1, ზესტაფონის რაიონში — 2,3 პროცენტით.

წლიური გეგმა მახარაძის რაიონში შესრულებულია 79,1 პროცენტით, ქობულეთის რაიონში — 79,9, ზუგდიდის — 63,1, გალის — 58, ლანჩხუთის — 85,3, ბათუმის — 79,6, ოჩამჩირის —61,1, წალენჯიხის — 63, გეგეჭკორის — 62, ჩხოროწყუს — 60,8, წულუკიძის — 36,9, ჩოხატაურის — 87,1, სამტრედიის — 60,7, ქუთაისის — 76,6, წყალტუბოს 41,4, ტყიბულის — 93,8, ცხაკაიას — 50, აბაშის 26,9, ხობის — 41,5, გულრიფშის — 81,3, სოხუმის — 40, გუდაუთის — 54, ჩხარის — 31,2, ზესტაფონის—40,7.

გუდაუთის რაიონის ცნობები 10 აგვისტოსია, ხობის რაიონისა კი 5 აგვისტოსი.

დუნაის კონფერენციაზე

16 აგვისტოს პლენარული სხდომა

ბელგრადი, 16 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ჩ. პიკის (დიდი ბრიტანეთი) თავმჯდომარეობით შესდგა დუნაის კონფერენციის პლენარული სხდომა. პლენუმმა აირჩია სამანდატო კომისია და სარედაქციო კომიტეტი და მოისმინა გენერალური მდივნის მოხსენება იმ წერილების შესახებ, რომლებიც კონფერენციას მოუვიდა. თუმცა პლენუმის დღის წესრიგში მდგომი საკითხების გადაჭრისათვის სრულიადაც არ იყო საჭირო დიდი დრო, მათს განხილვას სამ საათამდე დრო მოუნდა, რადგან დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ყოველგვარი ფორმალური საბაბი გამოიყენეს იმისათვის, რომ გაერთულებინათ და გაეჭიანურებინათ კონფერენციის მუშაობა.

სხდომის დასაწყისში უნგრეთის დელეგატმა სანტომ წინადადება შეიტანა—აერჩიათ სამანდატო კომისია რუმინეთის, დიდი ბრიტანეთისა და უკრაინის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ბრიტანეთის დელეგაციამ სრულიად გაუმართებლად მოხსნა თავისი კანდიდატურა. მაშინ სსრ კავშირის დელეგატმა ლავრენტიევმა წინადადება შეიტანა — სამანდატო კომისიაში შეეყვანათ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი. კონფერენციამ მიიღო ეს წინადადება, და სამანდატო კომისია დამტკიცებულ იქნა რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და უკრაინის სსრ წარმომადგენელთა შემადგენლობით, უკრაინის დელეგატის თავმჯდომარეობით.

შემდეგ რუმინეთის დელეგატმა ა. პაუკერმა წინადადება წამოაყენა—შეექმნათ სარედაქციო კომიტეტი სსრ კავშირის, საფრანგეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა შემადგენლობით. უკრაინის დელეგატმა ა. ბარანოვსკიმ წინადადება შეიტანა—სარედაქციო კომიტეტში შეეყვანათ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი.

საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა უარი სთქვეს სარედაქციო კომიტეტში შესვლაზე. საფრანგეთის წარმომადგენელმა ტიერიმ არ მოისურვა თავი შეეწუხებინა დასაბუთებით, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი კენონი შეეცადა სარედაქციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობაზე უარის თქმა აეხსნა იმის დამოწმებით, რომ „ინგლისური ენა გამორიცხულ იქნა კონფერენციის ოფიციალური ენების რიცხვიდან".

ამის გამო ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა კლემენტისმა საბუთიანად შენიშნა, რომ ოფიციალური ენების რიცხვში შეტანილი არ იყო არა მარტო ინგლისური, არამედ აგრეთვე ბულგარული, ჩეხური, რუმინული და სხვა ენები და რომ ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიეღო ყველა დელეგაციას, ვისი ენებიც ოფიციალურ ენებს არ წარმოადგენენ. საბჭოთა დელეგატმა ლავრენტიევმა მხარი დაუჭირა ამ მოსაზრებას და წინადადება შეიტანა სარედაქციო კომიტეტში შეეყვანათ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი. მაგრამ ბრიტანეთის დელეგაციამაც უარი სთქვა მონაწილეობა მიეღო კონვენციის პროექტის რედაქტირებაში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებს კონფერენციაზე უკავიათ იმ პოზიციისაგან განსხვავებული პოზიცია, რომელზეც მის მონაწილეთა უმრავლესობა დგას, და განაცხადა: „საბჭოთა დელეგაციას სწორად მიაჩნია რუმინეთის დელეგაციის წინადადება—სარედაქციო კომიტეტი შედგენილ იქნას ისე, რომ იქ წარმოდგენილი იყოს არა მარტო უმრავლესობა, არამედ უმცირესობაც. დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს თავი აერიდებინათ სარედაქციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობისათვის. ეს მათი საქმეა. მე მათთვის რჩევის მიცემას არ შევუდგები და არც მაქვს ამის რაიმე უფლება. მაგრამ იმ ფაქტიდან, რომ საბჭოთა დელეგაციამ მხარი დაუჭირა რუმინეთის წინადადებას ჩანს, რომ საბჭოთა დელეგაციას სასურველად მიაჩნია დასავლეთი სახელმწიფოების დელეგაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა მომავალი კონვენციის შემუშავებაში ამ მუშაობის დასკვნით ეტაპზეც — სარედაქციო კომიტეტში".

ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ სარედაქციო კომიტეტში ჩვეულებრივად შეჰყავთ შემოტანილ შესწორებათა ავტორები, და აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციამ 14 აგვისტოს დელეგატთა შორის გაავრცელა ოთხი ახალი წინადადება, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთი სახელმწიფოების, ამერიკის შეერთებული შტატების, წარმომადგენელთა შესწორებებს, და რომ მით უმეტეს მიზანშეწონილი იქნებოდა სარედაქციო კომიტეტის შემადგენლობაში შეგვეყვანა შესწორებათა ავტორები.

ვიშინსკი შეეხო კენონის განცხადებას, თითქოს ამერიკის დელეგაციას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სარედაქციო კომიტეტის მუშაობაში იმიტომ, რომ ინგლისური ენა აღიარებული არ არის ოფიციალურ ენად, და სთქვა:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რუსული ენა მიჩნეული არ არის ოფიციალურ ენად, მაგრამ საბჭოთა კავშირი ამის საფუძველზე უარს არ ამბობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების მუშაობაში მონაწილეობაზე. მოტივი, რომელსაც ამერიკის დელეგატი იმოწმებს, არ ასრულებს და არც შეიძლება ასრულებდეს იმ როლს, როგორიც სურთ ამჟამად მას მიაკუთვნონ".

პლენუმმა სარედაქციო კომიტეტი დაამტკიცა სსრ კავშირის, უნგრეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა შემადგენლობით, ჩეხოსლოვაკიის დელეგატის თავმჯდომარეობით.

ამის შემდეგ პლენუმმა მოისმინა გენერალური მდივნის მოხსენება კონფერენციის სახელზე მიღებული წერილების შესახებ. რამდენიმე წერილი კერძო პირებისაა; ისინი არ ეხებიან განსახილველ საკითხთა არსს. გარდა ამისა, მიღებულია წერილები საბერძნეთის, იტალიისა და ბელგიის მისიებისაგან, რომლებითაც ისინი კვლავ აყენებენ კონფერენციაზე უკვე დეტალურად განხილულ საკითხს საბერძნეთის, იტალიისა და ბელგიის მიერ ეგრეთწოდებულ „მოპოვებულ უფლებათა" შესახებ დუნაიზე ნაოსნობის მართვაში მონაწილეობისათვის და პრეტენზიას აცხადებენ—ეს „უფლებანი" შენარჩუნებულ იქნას 1921 წლის კონვენციის შესაბამისად.

დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლები შეეცადნენ ეს ფორმალური საბაბი გამოეყენებინათ, რათა კონფერენციისათვის თავს მოეხვიათ დისკუსია 1921 წლის კონვენციის უფლებამოსილებისა და კონფერენციაში საბერძნეთის, იტალიისა და ბელგიის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ. უკრაინისა და რუმინეთის დელეგატებმა მოაგონეს სხდომას, რომ კონფერენციამ ეს საკითხები უკვე განიხილა და შეისწავლა, და წინადადება შეიტანეს—გენერალური მდივნის მოხსენება მიღებულ იქნას ცნობად. ამით დისკუსია ამოიწურა.

ეს წინადადება მიღებულ იქნა ყველა დუნაისპირა ქვეყნის ხმის უმრავლესობით. მაგრამ დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლები ამის შემდეგაც კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ აღნიშნული საკითხების ფართოდ განხილვას. ამასთან საფრანგეთის წარმომადგენელმა დემაგოგიურად განაცხადა, თითქოს დასავლეთი სახელმწიფოების დელეგაციებს „პირში ბურთს სჩრიან". ამ განცხადებამ მხიარული გამოცოცხლება გამოიწვია სხდომის დამსწრე საზოგადოებაში, რომელიც ხედავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები სრულიად შეუზღუდავად გამოდიან ყველა სხდომაზე. ჟურნალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ, კერძოდ, დღევანდელ სხდომაზე დასავლეთ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა უკვე 15-ჯერ ილაპარაკეს, ხოლო თვით საფრანგეთის წარმომადგენელი მეჩვიდმეტეჯერ გამოდის.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას, რომ კონფერენცია ყოველთვის უსმენდა ყველაფერს, რისი თქმაც საფრანგეთის თუ სხვა რომელიმე დელეგაციას სურდა და რომ არავის არ შეუძლია „პირში ბურთი ჩასჩაროს" საფრანგეთის დელეგაციას. თუ იგი მოისურვებს ილაპარაკოს იტალიის, საბერძნეთის, ბელგიის უფლებებზე, იტალიის, საბერძნეთისა და ბელგიის მთავრობათა მემორანდუმებზე და სხვ.

— მე მხოლოდ მინდა მოგაგონოთ,—სთქვა ვიშინსკიმ,—რომ კონფერენციამ რამდენიმე წუთის წინათ გადასწყვიტა არ განეხილოს იტალიის, საბერძნეთისა და ბელგიის მისიების განცხადებანი, ვინაიდან ისინი კვლავ და კვლავ ეხებიან საკითხებს, რომლებიც უკვე განვიხილეთ. საფრანგეთისა და ყოველ სხვა დელეგაციას შეუძლია სთქვას ყველაფერი, რასაც ისინი მოისურვებენ, მაგრამ ჩვენ მაინც იმისთვის კი არ ვიღებთ გადაწყვეტილებებს, რომ შემდეგ დავარღვიოთ.

ამის შემდეგ პლენუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება კამათის შეწყვეტის შესახებ, და სხდომა დაიხურა.

გენერალურ კომიტეტში

ბელგრადი, 16 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით გენერალური კომიტეტი შეუდგა დუნაიზე ნაოსნობის შესახებ კონვენციის საბჭოთა პროექტის დასკვნითი დადგენილებების განხილვას.

ფართო დისკუსია გამოიწვია საბჭოთა პროექტის 41-ე მუხლმა, რომლის თანახმად ყოველგვარი დავა კონვენციის მონაწილეთა შორის მისი გამოყენებისა და განმარტების შესახებ შეიძლება, თვითეული მოდავე მხარის მოთხოვნით, გადასაჭრელად გადაეცეს შემთანხმებელ კომისიას. საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რომ შემთანხმებელ კომისიაში შედიოდეს სამი წევრი—ორი მოდავე მხარეთაგან და მესამე—დუნაის კომისიის თავმჯდომარის მიერ იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებიდან დანიშნული, რომლებიც დავაში არ მონაწილეობენ; ხოლო თუ კომისიის თავმჯდომარე იმ სახელმწიფოს მოქალაქეა, რომელიც დავაში მონაწილეობს, მაშინ მესამე წევრი დუნაის კომისიამ უნდა დანიშნოს.

დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა—ეს მუხლი შეიცვალოს ახალი მუხლით, რომელშიც ნათქვამია, რომ დავა, რაც კონვენციის განმარტებასა და გამოყენებას ეხება, იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაჭრილ არ იქნა დუნაის კომისიის მიერ, განსახილველად უნდა გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს. ინგლისისა და ამერიკის დელეგაციებმა აგრეთვე წინადადება შეიტანეს—კონვენციაში შეტანილ იქნას ახალი მუხლი, რომელიც დუნაის კომისიას დაავალებს „კავშირი დაამყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის ორგანოსთან".

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა კოლისაიდმა რომელიც თავისი შესწორების დასაცავად გამოვიდა, განაცხადა, რომ „დუნაის კომისია იქნება საერთაშორისო თანამშრომლობის უაღრესად თვალსაჩინო ორგანო, რომლის მნიშვნელობაც გასცდება წმინდა დუნაის პრობლემების ფარგლებს", და რომ ამიტომ იგი დაკავშირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან. კოლისაიდი ამტკიცებდა, რომ დუნაისპირა ქვეყნების წარმომადგენლებს „არ შეუძლიათ მიუმართლნი იყვნენ თავის საკუთარ საქმეში". და ამიტომ „მათ დავის გადასაჭრელად საერთაშორისო სასამართლოს უნდა მიმართონ".

ამერიკის დელეგატმა კენონმა მხარი დაუჭირა ბრიტანეთის წინადადებას. მან განაცხადა, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის აზრით, დუნაის კომისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთივე სპეციალიზებული ორგანიზაცია უნდა გახდეს, როგორიცაა საერთაშორისო ბანკი, ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვ. კენონი აგრეთვე დაჟინებით მოითხოვდა, რომ დავა კონვენციის გამოყენებისა და განმარტების შესახებ საერთაშორისო სასამართლოს გადაეცეს. იგი ცდილობდა თავისი პოზიცია დაესაბუთებინა რუმინეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების 38-ე მუხლისა და ბულგარეთისა და უნგრეთთან ხელშეკრულებათა ანალოგიური მუხლების დამოწმებით, რომელთა შესაბამისადაც დავა ამ ხელშეკრულებათა განმარტებისა თუ შესრულების ან პირდაპირი დიპლომატიური მოლაპარაკების გზით მოწესრიგების შესახებ უნდა გადაეცეს სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური მისიების მეთაურებს, ხოლო თუ ისინი დავას ვერ გადასწყვეტენ, მაშინ—კომისიას, რომელიც შესდგება თვითეული მხარის ერთი წარმომადგენლისა და მესამე წევრისაგან, რომელსაც მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით აირჩევენ; ხოლო თუ ორი მხარე ერთი თვის ვადაში ვერ მოახერხებს შეთანხმებას მესამე პირის დანიშვნის შესახებ, მაშინ ყოველ მათგანს შეუძლია მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს თხოვნით—მოახდინოს ეს დანიშვნა.

ამერიკის დელეგატმა დუმილით აუარა გვერდი იმას, რომ მუხლი, რომელსაც იგი იმოწმებს, ემყარება წინა მუხლს, რომელიც განმარტავს, რომ სამი სახელმწიფოს დიპლომატიური მისიების მეთაურებს რწმუნება ეძლევათ გაარჩიონ საკითხები, რომლებიც საზავო

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანების შემდეგ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ნება დაერთო გააერთიანონ საავადმყოფოები პოლიკლინიკა — ამბულატორიებთან. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, კლინიკურ და ამბულატორიულ მედიცინას შორის არსებული გათიშვის უმოკლეს ხანში აღმოფხვრას. ექიმის მუშაობა არ შეიძლება ნაყოფიერი იყოს, თუ ის სისტემატურად არ იმაღლებს კვალიფიკაციას, თუ ყოველდღიურად არ ეწევა სამკურნალო საქმეს კლინიკაში ან საავადმყოფოში უშუალოდ ავადმყოფის საწოლთან, არსებული კლინიკურ-დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენებით.

ჩვენს რესპუბლიკაში საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანება დაიწყო 1947 წლის ბოლოს და ძირითადად დამთავრდა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. ამჟამად რესპუბლიკაში გაერთიანებულია 80 საავადმყოფო და 82 პოლიკლინიკა. გარდა ამისა, სპეციალიზებული დისპანსერები და პოლიკლინიკები ერთიანდებიან სტაციონარებთან, ქალთა კონსულტაციები სამშობიარო სახლებთან და სამშობიარო განყოფილებებთან, ბავშვთა პოლიკლინიკები ბავშვთა საავადმყოფოებთან.

ამბულატორულ-პოლიკლინიკურ მუშაობაში ჩაება საავადმყოფოს კვალიფიციური ექიმების დიდი რაოდენობა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების გაძლიერებას. ბინაზე ავადმყოფის მომსახურებაში უკვე მონაწილეობს საავადმყოფოს კვალიფიციური ექიმი, ხოლო დიაგნოსტიკისა და თერაპიის რთულ შემთხვევებში კონსილიუმებზე მონაწილეობენ კლინიკის პროფესორები, დოცენტები და ასისტენტები, რაც მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას უახლოებს ჩვენს მშრომელ მოსახლეობას.

პოლიკლინიკებში განსაზღვრულ დღეებსა და საათებში ავადმყოფებს იღებენ კლინიკურად გამოცდილი სპეციალისტები: ასისტენტები, დოცენტები და თვით კლინიკის ხელმძღვანელი პროფესორები. ავადმყოფთა გამოკვლევა ტარდება ყველა კლინიკური მეთოდის გამოყენებით. უბნის ექიმები ხარბად ეწაფებიან კლინიკური ცოდნის გაღრმავებას და ამით აღწევენ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებას. საგრძნობლად შემცირდა დიაგნოსტიკურ შეცდომათა რიცხვი გაერთიანებულ დაწესებულებებში თბილისში, ბათუმში, სოხუმში და სხვ. სამკურნალო დოკუმენტაცია ფორმდება უფრო ზუსტად და ხარისხიანად.

საავადმყოფოს განყოფილების გამგე ამავე დროს ხელმძღვანელობს პოლიკლინიკის სათანადო განყოფილებას. მსხვილ საავადმყოფოში განყოფილების გამგე გამოჰყოფს უფროს ორდინატორს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს 4-6 მკურნალ ექიმს საავადმყოფოში, პოლიკლინიკაში და უბანზე მუშაობის დროს.

საავადმყოფოს და პოლიკლინიკის თვითეული ექიმი, როგორც წესი, ორრგოლიან მუშაობას ეწევა (გარდა სოფელ ადგილებისა, სადაც დაშვებულია სამრგოლიანი მუშაობის წესი): იგი მუშაობს საავადმყოფოში და პოლიკლინიკაში ანდა საავადმყოფოში და უბანზე. მაშასადამე, ორივე შემთხვევაში ექიმისათვის სავალდებულოა მუშაობა საავადმყოფოში, რაც ძირითადი პირობაა ექიმის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მთელ რიგ გაერთიანებულ დაწესებულებებში სისტემატურად ტარდება ექიმთა სამეცნიერო თათბირები, კლინიკურ-ანატომიური კონფერენციები, ამბულატორული და კლინიკური დიაგნოზების სხვაობის გარჩევა და სხვ. ამასთან ექიმები ფართოდ ებმებიან სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

აღსანიშნავია ის არსებითი ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ ხელს უშლის საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების სრულფასოვან გაერთიანებას. ეს ნაკლოვანებანი შემდეგია: ავადმყოფთა გამოკვლევისა და მკურნალობის საქმეში ლაბორატორია, რენტგენი და ფიზიოაპარატურა კიდევ არ არის დამაკმაყოფილებლად გამოყენებული (ბოლნისი, წალკა, ზესტაფონი და სხვა); ხანდახან რაიონული პოლიკლინიკებიდან ავადმყოფები იგზავნება საავადმყოფოში ინდივიდუალური ბარათების გაუტანებლად და საავადმყოფოები მათ უბრუნებენ პოლიკლინიკას ეპიკრიზების გარეშე (ცხაკაია, ონი, ცაგერი, მარნეული); ცალკეულ გაერთიანებულ დაწესებულებებში ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა, არ ხდება ავადმყოფების გარჩევა და დემონსტრაცია, არ ეწყობა კლინიკურ-ანატომიური კონფერენციები, ლექციები და მოხსენებები; ჯანმრთელობის დაცვის საქმის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ვერ მიაღწია სამკურნალო დაწესებულებების ერთიან ფინანსირებას, რისთვისაც საავადმყოფოების გაერთიანება პოლიკლინიკებთან მიმდინარეობს საშტატო-სტრუქტურული გაფორმების გარეშე.

აუცილებლად საჭიროა მიმდინარე წელს თვითეული პოლიკლინიკა გაერთიანებულ იქნას საავადმყოფოებთან, რომ პროფესორები, დოცენტები, ასისტენტები, კლინიკური ორდინატორები და ასპირანტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პოლიკლინიკურ დაწესებულებათა მუშაობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის მოსახლეობის მომსახურების უბნობრივი სისტემის გაუმჯობესების საქმეს.

საავადმყოფოში გაერთიანების შემდეგ მუშაობა უნდა მოეწყოს, მაგალითად, ასე: ა) თუ არის მხოლოდ ერთი ნაკადი—9 საათიდან 11 ½ საათამდე; ბ) თუ არის ორი ნაკადი—9 საათიდან 11 ½ საათამდე, 11 ½ საათიდან 14 საათამდე. პირველ შემთხვევაში პოლიკლინიკა მუშაობს 17 საათამდე, მეორეში კი 17 საათის შემდეგ.

გაერთიანებულ დაწესებულებებში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს კლინიკურ-ანატომიური და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ავადმყოფების დემონსტრაცია და გარჩევა, დიაგნოსტიკურ-თერაპიული შეცდომებისა და ავადმყოფთა დროული ჰოსპიტალიზაციის საკითხის გარჩევა. კონფერენციები ეწყობა საღამოს საათებში.

ყოვლად დაუშვებელია პროფილაქტიკური მუშაობის მივიწყება. იგი გაძლიერებულ უნდა იქნას, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ ექიმს, მის მოადგილეს პოლიკლინიკური ხაზით და უბნის ექიმს.

არის შემთხვევები, როდესაც პოლიკლინიკა ძლიერ დაშორებულია საავადმყოფოს (მაგალითად, ქუთაისი), რაც, რასაკვირველია, ხელს უშლის ექიმთა შრომის ნაყოფიერებას. საქმეს დადებითად სწყვეტს რამდენიმე რეისი ავტობუსისა საავადმყოფოს და პოლიკლინიკის მიმართულებით, რისთვისაც საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივმა ორგანოებმა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წინაშე დააყენონ ამ საქმის მოგვარების საკითხი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენდნენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისადმი. საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომთა უახლოეს სხდომებზე განსახილველად დასვან საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანების საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები და მთელი სამედიცინო საზოგადოებრიობა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით წარმატებით შეასრულებენ მათთვის დაკისრებულ მოვალეობას.

ა. ხელიძე

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი

დუნაის კონფერენციაზე

(დასასრული)

ხელშეკრულების შესრულებასა და განმარტებას ცნობიან იმ პერიოდის განმავლობაში, რაც არ აღემატება 18 თვეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან.

საფრანგეთის დელეგატმა ბანაფიოშაც მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის წინადადებას და საბჭოთა დელეგაციას შეეკითხა—მაინცა თუ არა მას, რომ საბჭოთა პროექტის 41-ე მუხლის...

ხელმწიფო, მათ შორის ჩინეთი, ელ-სალვადორი, ჩილი, მექსიკა, ბრაზილია, ეგვიპტე და სხვა ქვეყნები, რომლებიც ძალიან დაშორებული არიან დუნაის. დუნაისპირა სახელმწიფოთაგან საერთაშორისო სასამართლოში წარმოდგენილია მხოლოდ სსრ კავშირი და იუგოსლავია.

— მაშასადამე, თქვენ გსურთ, რომ დუნაის...

კორეის განთავისუფლების მესამე წლისთავი

ფხენიანი, 14 აგვისტო. (საკდესი). 15 აგვისტოს კორეელი ხალხი დღესასწაულობს იაპონიის კოლონიური ჩაგვრისაგან თავისი განთავისუფლების მესამე წლისთავს. ჩრდილოეთ კორეაში ფართოდ ემზადებოდნენ ამ წლისთავის სადღესასწაულოდ. მზადება მიმდინარეობდა უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის პირობებში. მოეწყო პლენუმთა სპეციალური სხდომები, მოწვეულ იქნა დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებები. მუშა-მოსამსახურეები და ინტელექტუალური შრომის ადამიანები კონკრეტულ წინასადღესასწაულო შრომით ვალდებულებებს კისრულობდნენ.

ყველა კრებაზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ საბჭოთა არმიის როლს კორეის განთავისუფლებაში და ერთსულოვან მადლობას უცხადებდნენ საბჭოთა კავშირსა და გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს კორეელი ხალხისადმი მეგობრული და უანგარო დახმარებისათვის.

ჩრდილოეთ კორეის გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ კორეის განთავისუფლების მე-3 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების მსვლელობას...

...ებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის მზადებას. უმაღლესი სახალხო კრების არჩევნები მოხდება 25 აგვისტოს. ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა წინასაარჩევნო კრებებზე სრულიად კორეის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატადასახელებს სამშობლოს საუკეთესო პატრიოტებს, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით ხალხის წინაშე, პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, მოწინავე მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

თავისი განთავისუფლების მესამე წლისთავს ჩრდილოეთ კორეის მშრომელები ეგებებიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებით. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მრეწველობის პროდუქცია ჩრდილოეთ კორეაში ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა. კორეელმა გლეხებმა არანაკლებ წარმატებას მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გადიდებაში.

ჩრდილოეთ კორეის ყველა ქალაქმა და სოფელმა...

მორიგი ნომერი გაზეთისა „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“

ბუქარესტი, 14 აგვისტო. (საკდესი). 15 აგვისტოს გამოდის მორიგი მე-16 (19) ნომერი გაზეთისა „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“. გაზეთის მოწინავის სათაურია: „მასებთან კავშირი კომუნისტური და მუშათა პარტიების ძალის წყაროა“.

განყოფილებაში — „პარტიული მუშაობის გამოცდილების გაზიარება“ გაზეთი ათავსებს...

...ტიზე თავდასხმის გამო) და ვ. მიჟუნოვიჩისა ბელგრადიდან — „როგორ მიმდინარეობდა იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ყრილობა“.

პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია კორესპონდენცია „იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყალთაბანდური ოინები“.

შემდეგ გაზეთი აქვეყნებს ასეთ მასალებს: ...

პარიზს ჩავიდა ამერიკის მისია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სტრატეგიული მასალის მიწოდების შესახებ მოსალაპარაკებლად

პარიზი, 16 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ორლის აეროდრომზე ჩავიდა ამერიკის მისია, რომელმაც საფრანგეთის ხელისუფლებთან მოლაპარაკება უნდა აწარმოოს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სტრატეგიული მასალის მიწოდების შესახებ. ეს იქნება იმ დახმარების კომპენსაცია, რომელსაც საფრანგეთს გაუწევენ „მარშალის გეგმით“.

მისიას ხელმძღვანელობს „მარშალის გეგმის“ განმახორციელებელი ადმინისტრაციის მასალათა სექციის დირექტორი ევენ ჯასტი.

ამერიკის მისია ანალოგიურ მოლაპარაკებას აწარმოებს აგრეთვე ლონდონში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ჯასტმა განაცხადა, რომ მისი მიზანია არა მარტო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სტრატეგიული ნედლეულის მიწოდების შესახებ, არამედ იგი მოლაპარაკებას აწარმოებს აგრეთვე იმის შესახებ, რომ ნედლეულის წარმოება გადიდდეს „მარშალის გეგმის“ მონაწილე ყველა ქვეყანაში.

რესპუბლიკის საბჭოს არჩევნების კანონპროექტის განხილვა ეროვნულ კრებაში

პარიზი, 14 აგვისტო (საკდესი). ეროვნული კრება შეუდგა ქიულ მოკის კანონპროექტის განხილვას რესპუბლიკის საბჭოს არჩევნების შესახებ. როგორც ცნობილია, ამ პროექტის ძირითადი მიზანია რესპუბლიკის საბჭოში კომუნისტთა რაოდენობის შემცირება და არსებითად მისი გადაქცევა სენატად.

ქიულ მოკის პროექტი ხელსაყრელია დეგოლელებისათვის. პროექტი ზღუდავს მოქალაქეთა უფლებას — მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის საბჭოს არჩევნებში, შემოაქვს სამსაფეხურიანი არჩევნები, მუნიციპალურ მრჩევლებს...

გამოსვლა განამტკიცა პროექტის შესახებ არა მარტო კომუნისტების, არამედ სოციალისტების აზრის დამოწმებით, მოიყვანა ძველი სოციალისტ-აქტივისტის ბელ-რეინალის აზრი, რომელმაც ჟურნალ „ლა რევიუ სოსიალისტში“ ამ პროექტს უწოდა „რეაქციული ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით“.

მაგრამ, მიუხედავად კომუნისტების მტკიცე ბრძოლისა ქიულ მოკის პროექტის წინააღმდეგ, კომუნისტთა კონტრპროექტი უარყოფილ იქნა 415 ხმით 138 (კომუნისტები) ხმის წინააღმდეგ.

საფრანგეთის ყოველი კუთხიდან მოდის...

სუვერენულის კომპარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია

...რეინო-მარის მთავრობის საგანგებო რწმუნებათა და ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხის ფართო, მზარდი საპროტესტო მოძრაობის შესახებ. იმ კენჭისყრის ანალიზი, რაც ეროვნულ კრებაში ამ საკითხზე მოხდა, ცხადჰყოფს, რომ მასების მოძრაობა სულ უფრო მეტ გამოხმაურებას ჰპოულობს პარლამენტში.

პოლიტბიურომ მოიწონა ეროვნული კრების კომუნისტური ჯგუფის მოღვაწეობა განსაკუთრებულ რწმუნებათა საკითხზე კამათის დროს. მან რწმუნება მისცა რესპუბლიკის საბჭოს კომუნისტურ ჯგუფს განაგრძოს დაუცხრომელი ბრძოლა.

...კონსტიტუციური პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, პოლიტიკისა, რომელიც იმას მოწმობს, რომ ახლანდელი მთავრობა ამერიკელ მილიარდელებს დაემორჩილა.

პოლიტბიურომ გადასწყვიტა ყოველივე გააკეთოს იმისათვის, რათა გააფართოოს ქმედითი კავშირი ყველა ფრანგისა, რომლებიც ზრუნავენ ეროვნული დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის გადარჩენისათვის, რათა გზა გაუკაფონ დემოკრატიული ერთიანობის მთავრობას, რომელიც დაეყრდნობა ხალხს და უზრუნველჰყოფს დემოკრატიული, პროგრესიული და ფრანგული პოლიტიკის გამარჯვებას.

არაბები არღვევენ დაზავებას პალესტინაში

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან გადმოგვცემს, ისრაელის სახელმწიფოს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 15 აგვისტოს „არაბთა ლეგიონმა“ მთელ იერუსალიმის ფრონტზე იერიში მიიტანა ტყვიამფრქვევთა და ნაღმსატყორცნთა დახმარებით. იერიში შუადღემდე გაგრძელდა.

ინგლისში ჩავიდა არაბთა ლეგიონის მეთაური გლაბ-ფაშა

ლონდონი, 16 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ საღამოს ლონდონს ჩამოვიდა ტრანსიორდანიის არაბული ლეგიონის მეთაური გლაბ-ფაშა.

გლაბ-ფაშის სიტყვით, იგი იმისათვის ჩამოვიდა ინგლისს, რომ განიხილოს „ანგარიშები“ ყოველწლიური ორი მილიონ გირვანქა სტერლინგ სუბსიდიასთან დაკავშირებით, რასაც ინგლისი ტრანსიორდანიას აძლევს არაბული ლეგიონის შესანახავად.

მოსკოვს ჩამოვიდა იტალიის ეკონომიური დელეგაცია

16 აგვისტოს მოსკოვს ჩამოვიდა იტალიის ეკონომიური დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პარლამენტის დეპუტატი ბ-ნი უ. ლა მალფა.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ...

...კავშირში იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი მ. ბროზიო და მოსკოვში აკრედიტებული იტალიის საელჩოს წევრები.

(საკდესი).

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

მოსკოვისა და თბილისის „დინამოელთა“ შეხვედრის წინ

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე დღეს შესდგება ფეხბურთში სსრ კავშირის 1948 წლის პირველობის გათამაშების მეორე წრის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ეს ორი უძლიერესი კოლექტივი 1936 წლიდან 17-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, აქედან 10-ჯერ გაიმარჯვეს მოსკოველებმა, 4-ჯერ თბილისელებმა, ხოლო 3 მატჩი ფრედ დამთავრდა.

როგორია მოსკოვის და თბილისის „დინამოს“ გუნდების მდგომარეობა მიმდინარე წლის პირველობის გათამაშებაში, რომელიც უკანასკნელ ეტაპს უახლოვდება? უნდა ითქვას, რომ როგორც მოსკოვის „დინამომ“, ისე თბილისის „დინამომ“ საკმაო სიძლიერით ჩაატარეს გათამაშების პირველი წრე: მოსკოველები პირველ ადგილზე გამოვიდნენ (21 ქულა), ხოლო თბილისელები—მესამეზე (18 ქულა). მაგრამ მეორე წრეში როგორც ერთმა, ისე მეორე გუნდმა თითქოს შეასუსტეს პირველობისათვის ბრძოლა. მოსკოვის „დინამომ“ 5 მატჩიდან მხოლოდ 5 ქულა მოაგროვა (წააგო მატჩები ქუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ და მოსკოვის „ტორპედოსთან“). თბილისის „დინამომ“ —5 მატჩიდან მოაგროვა 6 ქულა (წააგო მატჩები მოსკოვის „ცდკა“-სთან და „ლოკომოტივთან“). მოსკოვის დინამოელებმა ლიდერობა დაუთმეს „სპარტაკს“ და თვითონ მეორე ადგილზე გადავიდნენ, ხოლო თბილისელებმა მესამე ადგილი დაუთმეს „ცდკას“ და თვითონ კი მეოთხეზე გადავიდნენ.

დღევანდელისათვის ლიდერთა ჯგუფში ადგილები ასე ნაწილდება: მოსკოვის „სპარტაკს“ აქვს 27 ქულა (18 მატჩიდან), მოსკოვის „დინამოს“—26 ქულა (18 მატჩიდან), მოსკოვის „ცდკას“—25 ქულა (18 მატჩიდან), თბილისის „დინამოს“—24 ქულა (18 მატჩიდან), მოსკოვის „ტორპედოს“—24 ქულა (20 მატჩიდან) და ლენინგრადის „დინამოს“—22 ქულა (18 მატჩიდან). მეშვიდე ადგილზეა მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდი, რომელსაც 18 ქულა აქვს (20 მატჩიდან).

ფიზკულტურული მოედნები ჭიათურაში

ქალაქ ჭიათურაში ეწყობა ფიზკულტურის ახალი მოედნები. ქალაქის ცენტრში, კინოთეატრთან უკვე დამთავრდა კალათბურთისა და ფრენბურთის ახალი მოედნის მშენებლობა. იგი სანიმუშოდ არის მოწყობილი. ასეთივე მოედანი შენდება საშუალო სკოლასთან, ხოლო მეორე საშუალო სკოლასთან სწარმოებს მოედნის გაფართოება და კეთილმოწყობა.

სანადირო-სასროლო შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე

ამ დღეებში თბილისში ჩატარდა სანადირო-სასროლო შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 გუნდი. პირველი ადგილი სროლის ყველა კომპლექსში და აგრეთვე ადგილიდან და მისვლით სროლაში დაიკავა საქართველოს მონადირეთა კავშირის გუნდმა სპორტის ოსტატის გ. ჯაბახიძის, ლ. ციციშვილის, დ. ცაგარეიშვილისა და ბ. ...

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის

მოგებათა პირველი ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1948 წლის 3 აგვისტოს ქალაქ მოსკოვში. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის პირველ ტირაჟში მოგება ხვდათ სესხის ყველა 228 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
020090	1—50	500	030179	1—50	200
020184	50*)	1 000	030488	1—50	200
020320	16*)	1 000	030556	11*)	1 000
020385	1—50	200	030573	26*)	1 000
020534	01*)	1 000	030586	22*)	1 000
020628	48*)	1 000	030612	1—50	200
020748	1—50	500	030781	1—50	200
021280	43*)	1 000	031055	1—50	500
021363	31*)	1 000	031112	1—50	200
021423	13*)	1 000	031130	08*)	5 000
021433	35*)	1 000	031273	33*)	1 000
021474	1—50	500	031361	1—50	500
021501	33*)	1 000	031955	02*)	1 000
021513	30*)	1 000	032158	44*)	5 000
021736	14*)	1 000	032270	08*)	1 000
021794	32*)	1 000	032499	15*)	1 000
022154	47*)	1 000	032788	25*)	1 000
022252	1—25	200	032845	24*)	25 000
022305	24*)	1 000	032978	1—50	200
022395	32*)	1 000	033010	1—50	200
022505	20*)	1 000	033016	07*)	1 000
022782	1—50	200	033028	29*)	1 000
023007	28*)	1 000	033112	1—50	500
023162	05*)	1 000	033148	1—50	200
023163	26*)	10 000	033288	10*)	1 000
023202	45*)	1 000	033515	12*)	1 000
023347	28*)	1 000	033906	23*)	1 000
023418	11*)	1 000	033928	1—50	500
023637	04*)	1 000	034005	1—50	200
023715	22*)	1 000	034006	03*)	1 000
023985	1—50	200	034036	1—50	500
023991	11*)	1 000	034077	14*)	1 000
024111	1—50	200	034175	1—50	200
024204	1—50	200	034196	37*)	1 000
024298	19*)	1 000	034234	03*)	1 000
024574	19*)	1 000	034632	30*)	1 000
024594	38*)	1 000	034686	36*)	1 000
024627	10*)	1 000	034731	1—50	200
024634	01*)	1 000	034891	06*)	1 000
024733	14*)	1 000	034972	14*)	1 000
025251	05*)	1 000	035085	24*)	1 000
025356	23*)	1 000	035114	1—50	500
025373	1—50	500	035273	33*)	1 000
025750	1—50	200	035368	21*)	1 000
026049	1—50	200	035408	1—50	200
026170	48*)	1 000	035656	1—50	200
026243	1—50	200	035820	09*)	1 000
026415	33*)	1 000	035892	21*)	1 000
026440	1—50	200	035930	08*)	1 000
026444	1—50	500	035983	12*)	5 000
026533	1—50	500	036188	01*)	1 000
026553	18*)	1 000	036229	1—50	500
026703	39*)	1 000	036432	48*)	1 000
026745	32*)	1 000	036537	06*)	1 000
026771	41*)	1 000	036848	48*)	1 000
026782	43*)	10 000	036864	42*)	5 000
026802	14*)	50 000	036871	37*)	5 000
026815	18*)	1 000	036883	33*)	1 000
026923	1—50	500	036929	42*)	5 000
027226	1—50	200	036956	50*)	1 000
027554	1—50	500	036981	1—50	500
027795	30*)	1 000	037018	38*)	1 000
027916	33*)	1 000	037323	06*)	1 000
027939	1—50	200	037382	30*)	1 000
028057	10*)	5 000	037617	48*)	25 000
028208	1—50	200	037714	41*)	1 000
028221	44*)	1 000	037804	24*)	1 000
028603	24*)	1 000	037876	1—50	500
028756	08*)	10 000	037981	1—50	200
028795	37*)	1 000	038255	06*)	1 000
028829	1—50	200	038422	43*)	1 000
028877	39*)	1 000	038450	23*)	1 000
029044	1—50	200	038566	1—50	200
029057	1—50	200	038768	1—50	500
029077	45*)	1 000	038792	1—50	200
029120	1—50	500	038986	03*)	1 000
029265	31*)	5 000	039122	21*)	1 000
029297	1—50	200	039131	18*)	1 000
029392	29*)	10 000	039156	31*)	1 000
029416	1—50	200	039180	1—50	500
029445	02*)	1 000	039217	41*)	1 000
029635	04*)	1 000	039399	1—50	200
029717	22*)	1 000	039685	25*)	1 000
029745	26*)	1 000	039723	31*)	1 000
029926	27*)	5 000	039947	26*)	5 000
029996	20*)	1 000	039982	02*)	10 000
030079	22*)	1 000			

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე ა. ი. გორშკოვი

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ს. დ. ვორონკოვი

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. ნანიტაშვილი